სახალხო გაზეთი

№ 957 ოთხშაბათი, 31 იულისი 1913 წ. № 957

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაპრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასინეცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ეროვნის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი აგვისტოდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს **3 მ. 75 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ნინო გიორგის ასული ყავრიშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 27 ივლისს საყვარელ და დაუვიწყარ შვილისა და დისას

თამარისას

მიცვალებულის გამოსვენება ოთხშაბათს, 31 ივლისს, დილის 9 საათზე, (მიქიერი ქუჩა № 23), ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 516

დეკანოზი იოანე ანტონის ძე კაპანაძე და **მეუღლე მისი ეკატერინე ივანეს ასული შვილებითურთ** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 2 აგვისტოს, გორის საკრებულო ტაძარში შესრულებულ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელის შვილის

ილიკო კაპანაძის

სულის მოსახსენებლად. ძიგლის კურთხევა მოხდება განსვენებულის სასაფლავზე. 1410

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიპოვსკეებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

31 ივლისს, 1913 წ. გაიმართება

დიდი შთაგეჯდილების მომხდენი წარმოდგენა

შეცვლილი პროგრამით. მონაწილეობას მიიღებენ ყველა პირველ-ხარისხოვანი მსახიობები. დღეს მონაწილეობენ: ცნობილი მასხარა თავისი უტკბესანესი ვირით **„ბაშკით"** და მოლაპარაკე **ძაღლით—„ტირასით"**. გაბოჩენილნი მფრინავი ჰაერის მეფენი **4 ეშმაკნი** შეასრულებენ ერთფ., ორმაგს და სამრიგ არაბულ ს.-ტო-მორტალეს: „გამოჩენილი მოჯირითე ბულგარელი ქალის ქ. **ობმარისა**; ყ. ელგან და ყველას საყვარელი მა ხარები **ძმ. ვინჩენკოები**, მოხდენილი მიმოხვრა მოჯირითე ია პირველ მოცეკვავე ქალის **ლ. ე ბ. ზელასი**. დეი **ხოფფ** შესრულებენ გა-ს. ოცარ ცეკვას თვითმნათ ძალთა, ცეკვა სიკვდილისა **დ ა ს ა წ ყ ი ნ ი საღამოს 8 ნახევ საათზე.**

დირექცია **ძმ. ესიპოვსკეებისა.** 520. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მთავარი კანტორა და ქარხანა

ამხ. „რექტიფიქატ"-ისა,

რომელიც ვაპრობს

„დ. ზ. სარაჯიშვილის"

სახელით და იმყოფება ჩერქეზიშვილის (ყოფილ ავქალის) ქუჩაზე, **ვადატანილია** იმავე ქუჩაზე **ეგიაზაროვის სახლში № 65.**

517 სრულის პატივისცემით **გამგეობა ამხ. „რექტიფიქატ"-ისა.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12 ½—1 ს.
ქირურგიული სნეულებანი.	**ფიდოროვი ე. ბ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და ს.-მშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე**, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 **ფედოროვი ბ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ბედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოლოვი ბ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ოლიმბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმია და საბაქტეიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606"** და **„914" წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

მ ე კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

დაბრუნდა 514

ვკისრულობთ:

თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კოპირებას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, **„შრომის"** სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიანი. ტელეფ. 9-25.

ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღლაშვილები.

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომაყალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **ოქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ელექტრონის და რენტგენის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გამოიკვლევა და გადაღება რენტგენი სხვებით. ვერა, ყორდანოვის ქ. № 20. წ 1023

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

I მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწავლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** **ტ კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ი. კბილისა და ღრძილებისა ძ ა ჯ ა ი ა

იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე. ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

ექიმი კბილისა

არჩილ დოლიძე

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ნაძალად., ჩერქეზ. ქ. № 145). ყოვ.-დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ბაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

ბ. ა. პიპია. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.

ექ. ქალი ოოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეიოროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოიწვევიან.

წამლოგა „606"-ით 1035

ქართული პრესა

„ბათომის გაზეთი" კვლავ იხებავ პრაქტიკული მუშაობის საჭიროებას და ამბობს:

„ვინ არ იცის, თუ რა აუტანელ მდგომარეობას განიცდის ჩვენი მშრომელი ხალხი. ის უკიდურეს სიღატაკეშია ჩავარდნილი. გარს შემორტყმულია ჩარჩ-ბაჯაღებით ტმისი წვითა და დაგვით ნაპირნახულევი ჩალის ფასად უვარდება ხელში სიფლის ათასგვარ წურბელებს. ამასთან ჩვენი ხალხის მეტად დიდი უმეტესობა მეურნეობას ეწევა; ეწევა ამ უმთავრეს დარგს თავის რჩენისას იმ წესით და იმ იარაღით, როგორათაც მისი პაპა და პაპის პაპა ეწეოდა".

„ბათომის გაზეთს" საჭიროდ მიაჩნია პრაქტიკული მუშაობის გაძლიერება განსაკუთრებით იმიტომ, რომ „მატერიალურად დაბეჩავებული, წელში გატეხილი ხალხი გადაშენების გზას ადგება. ის მოდუნებულ და ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ შთამომავლობას იძლევა".

გამოსთქვამს რა ამ სრულიად ჭეშმარიტ აზრს, „ბათომის გაზეთი" მოუწოდებს ხალხის მოჭირნახულეთ, განსაკუთრებულის მზრუნველობით მოეკცნენ ისეთს დაწესებულებებს, რომლებიც ხალხის ეკონომიურ მოდონიერებას ხელს უწყობენ.

***

იმავე „ბათომის გაზეთში" დაბეჭდილია ბ-ნ თ. თ. დ. ძეს წერილი, რომელშიაც საქართველოს ტერიტორიის საკითხს ეხება:

„მათის აზრით,—ამბობს ავტორი,—ქართველი ერის კეთილდღეობისთვის საჭიროა ფაქიზად იყოს შენახული ძარტო სამშობლო ენა, თეატრი და ეროვნული კულტურა; ტერიტორიას, მიწა-წყალს კი, რითაც ჩვენი ქართველი ერი საზრდოობს, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ყველასაათვის ცხადია, რომ დედა-ენა და ეროვნული კულტურა ერის მასულდგმულებელი, მაკოცხლებელნი არიან, მაგრამ ყოველივე ეს არის ზედა-პირი, ეროვნული ცხოვრების გარეგნული ფორმა და თუ ისინი ძალიდროდ დაკავშირებულნი არ არიან ერის შინაგან საარსო ცხოვრებასთან, მაშინ ეროვნული ღირებულებანი უნაყოფოდ რჩებიან". ამის შემდეგ „ბათომის გაზეთს" მოჰყავს რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ გვეცლება ხელიდან ტერიტორია და რა გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდება ამით ქართველი მშრომელი ხალხი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„დენ"-ში მოთავსებულია ვინმე ბ. ბ-ინის წერილი მუშათა უკანასკნელ გაფიცვების შესახებ. ავტორი ამბობს, რომ მუშებმა უკვე შეიგნეს გაფიცვების ქაოტიური და მოუფიქრებელი სისტემის გამოუსადეგრობა და პროტესტებს აცხადებენ იმის წინააღმდეგაო. გაზეთი არკვევს აგრედვე ასეთი გაფიცვების მიზეზს:

„ასეთი თავისებური როლი რუსეთის გაფიცვებისა გამოწვეულია ჩვენი პოლიტიკური წეს-წყობილების ჩამორჩენილობით. ეს წეს-წყობილება ჰხურავს თავისუფალ ტრიბუნას, თავისუფალ პრესას, თავისუფალ კავშირს, სადაც გადატანილი და შემუშავებული იქნებოდა ყოველგვარი უკმაყოფილება და მოთხოვნილება".

გაზეთი თანაგრძნობით ეკიდება მუშების ახალ ნაბიჯს და დასძენს:

„მოსკოველ მუშების პროტესტით გამოსვლასთან ერთად, პრესას დიდი შეღავათი ეძლევა ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან საკითხის გამორკვევაში, რომლისაკენ კარგა ხანია საჭიროა საზოგადოების ყურადღების მიქცევაო.

***

ამავე საკითხის გამო „როსია" ეკამათება „რეჩს" და ამბობს, რომ აზრის სხვა და სხვაობა იმაში გამოიხატება, თუ როგორი იარაღით შეიძლება ბრძოლაო.

„თვითონ გაზეთი აცხადებს—სწერს „როსია" რომ გაფიცვები—არა ნორმალური მოვლენაა, რომ მათთან ბრძოლა საჭიროა და ამავე დროს ეს მოვლენა მიჰყავს იქამდე, რომ მუშები „შეგნებით მოეკიდონ თავის თავის ექსპერიმენტს". რისთვის იფიცებიან ისინი, თუ არ იმისთვის, რომ თავისი მდგომარეობა გაუმჯობესონ; ან შესაძლოა, რომ გაფიცვებს რაიმე სასურველი შედეგი მოჰყვეს, თუ მუშები გადავლენ ეკონომიურ ნიადაგიდან საერთო საკითხების გადასაწყვეტად?"

პირველი შეხედვით კაცს ეგონება, რომ „ოფიციოზი" თანაგრძნობით ეკიდება მუშათა გაფიცვას ეკონომიურ ნიადაგზე, მაგრამ „როსია" განა თავის დანიშნულებას უღალატებს? წერილის მეორე ნაწილში იგი მხოლოდ იმაზე ლაპარაკობს, რომ გაფიცვები მემარცხენენების მიერ გასოციალისტებულ ჯგუფის ტერროორის გავლენის ქვეშაა და რაც პირველთა სურთ, ბრბოც იმას აკეთებსო.

„ყველა ეს დიდი ხანია გამორკვეულია და ცნობილი".—ამბობს დასასრულ გაზეთი,—„მხოლოდ გასაკვირალი ისაა, რომ მემარცხენე გაზეთები კიდევ განაგრძობენ ასეთ სისულელეების წერას, იმ ფიქრით, რომ ვინმე დაარწმუნონ. მგონი დროა ამის თავის დანებება, რადგანაც ეხლანდელ დროში ვინ არ იცის, რადა ღირს მემარცხენე პოლიტიკანების პირმოთნე მზრუნველობა მუშების ბედისათვის".

ასე რომ, „როსია"-ს აზრით, გამოდის, რომ მემარჯვენე პოლიტიკანები უფრო გულწრფელი მზრუნველები არიან მუშებისა.

რა გაეწყობა!

***

„რეჩში" ბ-ხი ნაბოკოვი მოგვითხრობს, რომ რუსეთში ცენზურამ აკრძალა ოქტავ მირბოს ახალი წიგნი „Dingo".

„წიგნში", ამბობს ნაბოკოვი, „რუსეთის შესახებ არავითარი სიტყვაც არა სწერია. პოლიტიკურსა, სოციალურსა და სარწმუნოებრივ მწვალებლობას იგი არ შეიცავსო. დასასრულ წიგნში ხსენებაც კი არ არის რაიმე უზნეობისა, რომელიც პორნოგრაფიას წაგავს. მაშ, რა მიზეზია?".

კითხულობს ნაბოკოვი და ამბობს, რომ ეს საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ დროს, როდესაც რუსეთის წიგნების ბაზარზე აუარებელ პორნოგრაფიულ გამოცემას, ნახავთ.

„მე მგონია", ამბობს ბ-ნი ნაბოკოვი, რომ მივაგენი საკითხის სწორ გადაწყვეტას. ერთმა ნაცნობმა, მოხუცებულმა „გუვერნანტკამ", ტომით შვეიცარიელმა, მიამბო, რომ რამდენიმე წლის წინად იგი ერთი პირის ოჯახში ცხოვრობდა, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ფრანგული წიგნების ცენზურა. მას ძლიერ ეძნელებოდა ეს საქმე და ამიტომ „გუვერნანტკას" მიანდო. ქალს ბევრი წიგნის წაკითხვა უხდებოდა და თავისი აზრის გამოთქმაც; მისი განაჩენი განუსაჩივრებელი რჩებოდა და აუცილებლად სრულდებოდა". ადვილი შესაძლებელია! მაგრამ შვეიცარიელი „გუვერნანტკა" ჩვენს ცენზორებთან შედარებით იმდენად განათლებული მაინც იქნებოდა, რომ ისეთ სისულელეს არ იზამდა, როგორიც მირბოს ცენზორს ჩაუდენია.

ახალი ამგავი

ტფილისი

✦ კვირას, 28 ივლისს, დიდუბეში პროფესორის **ა. ხახანაშვილის** გარდაცვალების წლის თავზე ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების თაოსნობით გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი, განსვენებულის სულის მოსახსენებულად. წირვა დილის 9 საათზე დაიწყო, პანაშვიდი 12 საათზე. ხალხი პანაშვიდს ცოტა დაესწრო; დეკანოზმა ასათიანმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც აღნიშნა ქართველების გულგრილობა.

✦ **28 ივლისს ქებურია უნდა გაფრენილიყო.** მშვენიერი ამინდი იყო და ყველა მოუთმენლად მოელოდა ფრენას. მოტორი ამამუშავეს, მაგრამ ძლიერ ცუდად მუშაობდა. ავიატორი რამდენიმე ადლის სიმაღლეზე აფრინდა, მაგრამ უეცრად მოტორი გაჩერდა და მფრინავი იძულებული გახდა ისევ ძირს დაეშვებულიყო.

✦ **არქიმანდრიტი ნაზარი**, საქართველოს მონასტრების ბლაღოჩინი, დღეს კახეთს მიემგზავრება მონასტრების დასათვალიერებლად.

✦ **მეცხვარეობის** გამოსაკვლევად გუმბრს გაემგზავრა მეცხვარეობის სპეციალისტი ი. ვ. ბელგოვსკი.

✦ **საცდელ სამეურნეო დაწესებულებათა** დასათვალიერებლად გუშინ ჩრდილოეთ კავკასიას გაემგზავრა სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ს. ნ. ტიმოფეევი.

✦ **გაზეთის დაჯარიმება.** ორშაბათურ გაზეთ „ვსიო"-ს რედაქტორი ვ. ა. რუკოვიჩი გუბერნატორმა 150 მან. დააჯარიმა საცენზურო წესდების დარღვევისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთის თვით დააპატიმრებენ.

✦ **კ. ი შაშკოვსკი.** მიწადმოქმედებისა და მიწადმოწყობის მთავარ სამმართველოს კავკასიის რწმუნებული, სამსახურის საქმეთა გამო განჯისა და ბაქოს გუბერნიაში გაემგზავრა.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **მელვინეობისა და მევენახეობის კომიტეტთა კრება.** როგორც მოხსენებული გვქონდა, წელს შემოდგომაზე 1—15 ოქტომბრამდე ტფილისში მოხდება ამ კავკასიის და თურქესტანის მევენახეობისა და მელვინეობის კომიტეტების კრება. მოგვყავს აქვე პროგრამა ამ კრებისა: 1) ნივთიერი მონაწილეობა ადგილობრივ თანხებით ინ ხარჯებში, რომელიც საჭიროა კომიტეტების პერსონალის შესანახად და სხვა და სხვა სამუშაოების შესასრულებლად. 2) ამერიკულ ვაზის სანერგეთა სამეცნიერო საცდელ მოქმედების შეთანხმება, 3) სოფლის მეურნეთათვის რიგიან მასალის მიწოდება, 4) კონტროლის გაწევა ფილოქსერით დაავადებულ ადგილებში, 5) სადეზინფიქციო საქმის მოწყობა, 6) ძოწყობა სარაიონო საწყობებისა, 7) ვენახების დაცვა და მეთვალყურეობა, 8) ხარჯების ანაზღაურება იმ ძველთა, რომელთაც კომიტეტის დადგენილებით დაავადებულ ვენახს გადაუწვავენ, 9) ინსტრუქცია და უფლებანი კომიტეტების რწმუნებულებისა, 10) ვენახების აღსადგენად მისაცემ სესხის განსაზღვრა და 11) სამელიორაციო ფონდის ძოხმარება კომიტეტების ძიზნისათვის.

სასწავლებლებში

✦ **ტფ. სასულიერო სემინარიის** დოგმატიურ მღვთის მეტყველების მასწავლებელი ბერ-მონაზონი კირილე (სოკოლოვი) რუსეთში გადაიყვანეს. მის ადგილას დაინიშნა ბერ-მონაზონი ანტონი (რომანოვსკი), რომელმაც წელს დაასრულა კიევის სასულიერო აკადემია.

✦ **ორი საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის** დაარსება (ამიერ-კავკასიაში) საბოლოოდ გადაწყვეტილია. ერთი დაარსებულ იქნება ყარაიაზსა ან ლოჭინში, მეორე კი თელავსა, ან სიღნაღში.

სასამართლო

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** სურამს გაემგზავრა, სადაც 3 აგვისტოძდე დაჰყოფს.

ქუთაისი

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ქიათურაში რამდენიმე საქმე გაარჩია და ქუთაისს დაბრუნდა.

✦ საბჭოსა და მის მუშებს შორის მოლაპარაკება ორივე მხარისათვის სასურველად მოწესრიგდა.

◆ სპეციალური საგნების მასწავლებლად ჭიათურის ტეხნიკურ სასწავლებელში საბჭომ ინჟენერი დანიელ ყიფიანი მოიწვია.

◆ მოსიარულე ექიმად სამრეწველო ქარხნისათვის საბჭომ ექიმი ვასილ ბერეჟიანი მიიწვია.

◆ თანახმად ადმინისტრაციის განკარგულებისა; ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ სარეცხი ქარხნების კანტროლერად ხუთი პირი მიიწვია, მათ ევალებათ თვალყური ადევნონ ნარეცხი წყლის უდროოდ გამოშვებას. ნარეცხ წყალს კვირაში ერთხელ გამოუშვებენ.

◆ ვაშაკიძე გვწერს: — შემთხვევა მქონდა 27 ივლისს დამეთვალიერებინა ნ. გ. ამირაღოვის მიერ სოფ. ღებში (რაჭის მაზ.), ციხის ნანგრევებში ნაპოვნი ხის ძველი მუსიკალური იარაღი. იგი სრულებით არა ჰგავს არც ერთს ამ დროინდელ მუსიკალურ იარაღს და ღრმა მოხუცებულებსაც ვერ უთქვამთ მისი სახელი. დარწმუნებული ვარ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს და შეეცდება ხსენებული ნივთი არ დაიკარგოს. („იმერ.“).

◆ **სამასწავლებლო ინსტიტუტი ქუთაისში.** კავკასიის სამოსწავლო უწყებას განზრახვა აქვს მომავალი წლიდან ქ. ქუთაისში გახსნას სამასწავლებლო ინსტიტუტი.

◆ წელს მაისში პეტერბურგიდან ქუთაისს ჩამოვიდა ინჟინრების ჯგუფი, რიცხვით 15 კაცი, კავკასიის მდინარეების გამოსაკვლევად. ინჟინრები ოთხ ჯგუფად გაიყვნენ და დაინაწილეს გამოსაკვლევად ქუთაისის გუბერნია. პირველმა ჯგუფმა მოიარა: აბაშა, ხობის წყალი, და სვანეთი ლიქსურამდე, მეორემ — უწერიდან წესამდე, მესამემ წესიდან ქუთაისამდე და მეოთხემ მდ. მტკვრის ზედა ნაპირები (ტფილისის გუბერნიაში). ჯგუფის მეთაური და ხელმძღვანელია ინჟინერი ჟერვე. ინჟინრებმა შეიმუშავეს გეგმა და დანიშნეს ყველა ის ადგილი, სადაც შესაძლებელია ჰიდრავლიური სადგურების აგება.

◆ ნაქალაქევში ცხენის წყალზე განზრახულია გააკეთონ ელექტრონის სადგური ფოთისა და სხვა ახლო-მახლო ქალაქ-დაბების გასანათებლად. ხსენებულ ადგილებში ჯერ-ჯერობით საჭიროდ მიაჩნიათ გზატკეცილების გაკეთება, რათა შესაძლებელი გახდეს მუშაობა და საჭირო მასალის გადატან-გადმოტანა. გარდა პირველი ჯგუფისა, ქუთაისიდან ყველანი წავიდნენ. პირველი ჯგუფი ამ კვირაში მიეგზავრება მდინარე არაგვისაკენ. სხვები კი უკვე გაემგზავრნენ ევლახში და მოივლიან ადგილებს ბაქომდე. სვანეთიდან დაბრუნებული ინჟინერი ალ. კრეკმანი გაოცებულია იქაური ბუნების სიმდიდრით, მხოლოდ მან აღნიშნა საშწუხარო მოვლენა, რომ არ არსებობს არავითარი წესი ტყის მოვლა-მოხმარებისა.

◆ ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობაზე შავი ქვის საბჭოს მიერ არჩეული გიორგი ჭუმბურიძე სამოსწავლო ოლქის მზრუნველს არ დაუმტკიცებია; ამის გამო სახალხო სკოლების დირექტორი სწერს ჭიათურის საბჭოს, რომ დაუყონებლივ აირჩიონ საინსპექტორო კანდიდატი.

◆ 4 აგვისტოს ებრაელების საღოცავში დანიშნულია ხელმეორედ არჩევნები ებრაელების რაბინისა და მისი თანაშემწისა.

◆ ტფილისიდან ქუთაისში ჩამოვიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატდოცენტი ა. ს. შჩებეტოვი, მას დავალებული აქვს მიწადმოქმედების დეპარტამენტისაგან შეადგინოს რუსეთის მეაბრეშუმეობის შესახებ საზოგადო მიმოხილვა. ქუთაისში პრივატ-დოცენტი რამდენიმე დღეს დაჰყოფს და გაეცნობა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეობას. შემდეგ ის დაბრუნდება ტფილისს, სადაც დაახლოვებით ერთ კვირას დარჩება.

◆ ჭიათურაში შავი ქვის წარმოების დარგში მომუშავე მუშებს განზრახვა აქვთ დაარსონ პროფესიონალური კავშირი.

◆ ბათომის ქალაქის თავს აცნობა ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებულმა საკრედიტო კანცელარიამ, რომ 14 ივლისს უმაღლესად ნება დართეს, მიეცეს ბ. ბათომს სესხად ხაზინიდან 50 ათასი მანეთი.

◆ ბათომის მაძებარმა პოლიციამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ ქალაქს ეკისრა საპოლიციო ძაღლების შენახვა. ქალაქის გამგეობამ ამის შესახებ უპასუხა: გთხოვთ, გვიჩვენოთ ის კანონი, რომლის ძალითაც ქალაქის თვითმართველობას ევალებოდეს პოლიციის ძაღლების შენახვაო“.

◆ ბახვის საზოგადოებაში (გურია) მთავრობამ გაგზავნა თავისი მამასახლისი თან, გააყოლეს საერობო დარაჯები. მათი შესანახი ფული უკვე გაწერეს საზოგადოებას. („თ. ქვ.“).

მაჰმადიან ქართველთა ფანატიკოსობა და ეროვნული გრძნობა

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ამას წინად „ბათომის გაზეთში“ მოვათავსეთ რამდენიმე წერილი ქართველ მუსულმანების შესახებ. როგორც გაგეგებათ, იმ წერილებში აღნიშნული იყო ქართველ მუსულმანების ეროვნული ცხოვრების მოდუნება. ჩვენ აღვნიშნეთ ხალხის „ქართველ მუსულმანების“ კულტურულად დაცემა, თავიანთ ქრისტ. მოძმეებისაგან ჩამოშორება და ჩამორჩენა, როგორ არ ესწრაფვიან ქართულს დედა-ენას, მისწრაფება თათრული, ოსმალური ენისადმი, თავიანთი თავის თათრად წოდება და სხვ... ეხლა კი განვიხილოთ ყველა ესენი. ნუთუ მაჰმადიან ქართველებს მართლაც ასე შესძულდათ დედა-ენა და მასთან ერთად შესძულდათ თავიანთი მოძმეები? ნუთუ მათ შეიყვარეს თათრული, ოსმალური ენა და მასთან ერთად იგრძნეს თავი ნამდვილ თათრად, ოსმალოდ? მე ვამბობ, რომ არა, და ესაა კიდეც საკითხი და მე ეხლა მსურს დავამტკიცო ყველა ეს, რამდენადაც შემიძლია. ავიღოთ და დავუჯეროთ მათ სიტყვას და ვსთქვათ, რომ მართლაც ასეა, ესე იგი, ისინი გადაგვარდნენ, ნამდვილი თათრები არიან და ესწრაფვიან თათრულ-ოსმალური ენის შესწავლას. რით დავამტკიცოთ ჩვენ ეს? თუ ისინი ესწრაფვიან თათრული ენის შესწავლას, მაშინ მათ უნდა ჰქონდეთ თათრული სკოლები და სხვა-და-სხვა დაწესებულება, სადაც შეიძლება თათრული ენის შესწავლა. შეიძლება ვინმემ სთქვას: მათ ნივთიერი ძალა არ აქვთ ამაებისთვისო. მაგრამ არც ასე არის. მათ ნივთიერი ძალა საკმარისიც აქვთ, მაგრამ არა აქვთ სულიერი მისწრაფება და სიყვარული თათრული, ოსმალური ენისადმი ისე, როგორც ჩვენ გვესმის მათი ნალაპარაკევიდან. ჩვენ რომ კარგად დავაკვირდეთ და ვავითვალისწინოთ, მაშინ დავინახავთ, რომ მათ ამ საქმის სისრულეში ძოსაყვანად რაღაც უშლის ხელს და ეს არის ის დიდიხნიდან მიძინებული, ოდნავ ბეჟუტავი ეროვნული გრძნობა; და ეს გრძნობა არის სამშობლოს სიყვარული. თუმცა და ამ ძილში განვლო სამასმა წელმა, მაგრამ არ იქნა და ვერ ამოიგლიჯეს გულიდან ეს გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, როგორც მოელოდა ამას ოსმალეთი. თუმცა-და მათ გულში სამშობლოს უჭირავს დაუვიწყარი ადგილი, მაგრამ ამ გრძნობას გარედან აქვს შეძოხვეული ოსმალეთისაგან ჩანაგონები სიძულვილი. მათ ეშინიათ და ჭგონიათ თითქოს სჯულის წინააღმდეგი იქნება, რომ აშკარად გამოუტყდნენ თავის თავს და აღიარონ საქართველო თავის სამშობლოდ, ქართული ენა თავის დედა-ენად და ქართველი ქრისტიანები თავის მოძმეებად. ესე იგი, როგორც ზემოთა ვსთქვით, მათ აქვთ გულში მიძინებული სამშობლოს სიყვარული ოდნავ ბეჟუტავ ნაპერწკლად. მაგრამ ამ ნაპერწკალს გარს ახვევია ოსმალებისაგან შთანაგონები ფანატიკოსობა. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ეს ხალხი, ამ გრძნობათა შორის მყოფი, ვერ წავიდა წინ სწავლა-განათლებით და წინ სვლის მაგიერად ისიც დაჰკარგა, რაც იცოდა.

ახლა მოგიწოდებთ თქვენ, ქართველო ქრისტიანებო ⁊ მუსულმანებო! შეეხედოთ ყველა ამას ფხიზელის თვალით, მოვიშოროთ გარს შემოხვეული ცრუ აზრები და გავხადოთ ნამდვილ მგზნებარე ცეცხლად ის დღემდე მოლწეული გულის პატარა ნაპერწკალი, რასაც ეწოდება ეროვნული გრძნობა და შეგნება. რასაკვირველია, ამ ცრუ აზრების მოშორებას, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ თქვენ, ქართველო ქრისტიანებო. და თქვენ კი ქართველო მუსულმანებო, ნუ აჰყვებით ზოგიერთების ცრუ აზრებს, ამაში არ არის არაფერი სჯულის წინააღმდეგი, არამედ ეს იქნება თქვენი გაკაცება, გადამიანება და მოქალაქური და ეროვნული ცხოვრების შეგნება. („ბათ. გაზ.“)

ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე.

მუშათა ცხოვრება

ბაკო.

◆ რადგანაც დროზე არ უპასუხეს მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესახებ, გაიფიცნენ: ძმ. რილსკების „მოსკოვ-კავკასიის საზ.“, „არამაზდის“ „შილოვი და თაიროვის“ სამრეწველოების მუშები.

◆ რადგანაც ძმ. ნობელების სამრეწველოთა ადმინისტრაციამ დანიშნულ დროზე პასუხი ვერ გასცა მუშებს მოთხოვნილებაზე, 26 ივლისს გაიფიცნენ სამრეწველოების მუშები. ძმ. ნობელების სამრეწველოებში მუშაობდა 10.000 კაცი; სამრეწველოებისაგან დღეში დამუშავებული ნავთის რაოდენობა უდრის 150.000 ფუთს.

◆ „თანამონაწილეთა“ საზოგად. სამრეწველოს მუშებმა წარუდგინეს ადმინისტრაციას მოთხოვნილება. ადმინისტრაციამ მოთხოვნილება თითქმის დაკმაყოფილა. დაკმაყოფილებული არ იქნა ორი მოთხოვნა: წელიწადში საჩუქრის ორჯერ მიცემისა და სამრეწველო კომისიის შემოღებისა; ამის გამო მუშები გაიფიცნენ.

◆ „ბორნ“ ის საზოგადოების სამრეწველოს მუშებმა მოთხოვნილებანი წარუდგინეს ადმინისტრაციას და საპასუხოდ სამი დღის ვადა მისცეს.

პეტერბურგი.

◆ გაიმართა კრება ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოების მუშებისა. ზოგიერთი საწარმოოს მუშები გაფიცული არიან 55 დღე. კრებამ დაადგინა: განაგრძონ გაფიცვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებამდე.

◆ გათავდა გაფიცვა სკიპინის სპილენძისა და ლითონის მექანიკურ სახელოსნოში. მუშების მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულია სრულიად. გაფიცვამ 8 დღეს გასტანა.

◆ ზიგელის ქარხნის ადმინისტრაციამ დაუგზავნა ბარათები გაფიცულ მუშებს და მოიწვია სამუშაოდ; არც ერთი გაფიცულთაგანი არ გამოცხადდა.

◆ რაზუმოვსკის წყალსადენის მომწყობ სახელოსნოში გაფიცვა გათავდა; მუშათა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია.

◆ „ახალი ლესნერის“ ქარხანაში გაფიცვა 4 თვეს გრძელდება. გაფიცვათა ისტორიაში პირველი მაგალითია ასეთი სიმტკიცისა. გაფიცულია 800 კაცი.

მოსკოვი

◆ „სიუ და ამბ.“ ქარხანაში გამოკიდებულია განცხადება გაფიცულ მუშათა საყურადღებოდ, რომ თუ 26 ივლისს მუშაობას არ შეუდგნენ გაფიცულნი, მათთან ხელშეკრულება დაირღვევა და ადმინისტრაცია ანგარიშს გაუსწორებს.

◆ ევდოკიმოვის ლიტოგრაფიაში მომუშავენი გაიფიცნენ და მოთხოვნილება წარადგინეს.

◆ გაიფიცნენ შავიკინის მექანიკურად ფეხსაცმელთა მკერავი ქარხნის მუშები, მუშათა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია, მაგრამ ამასთანავე გამოუცხადეს მუშებს, რომ ქარხანა ამ პირობებში ორ კვირას იარსებებს და მერე დაიხურებაო.

მოზღერილი ამბები

სოფ. ჭალუანი (ზემო იმერეთი). ეს სოფელი მდებარეობს მდინარე ძირულის პირას, საჩხერედან სამხრეთით 20 ვერსის მანძილზე. სოფელი ჭალუანი შედის ლიჩის საზოგადოების ფარგალში. ამ სოფელს გარდა ამ საზოგადოებაში შედიან შემდეგი სოფლები: ხვანი, ჭალუანი, წბანი, დოდორა, ბუკვეთი, კარათი, ლიჩი, ციცქიური, გოლისი და ნადაბური. ყველა ეს სოფელი გაშენებულია მდინარე ძირულის გადმაგაპოლმა ორივე ნაპირზე და იწოდება ხეფინიხევად. ამ სოფლებს აქვთ ერთად-ერთი სამინისტრო ერთ-კლასიანი სკოლა სოფელ ლიჩში, სადაც სწავლობენ მხოლოდ ახლო-მახლო სოფლის ბავშვები, დანარჩენი სოფლები კი სიშორისა გამო ამ სკოლით სარგებლობას სრულიად მოკლებული არიან. ამ გარემოებისათვის დიდი ყურადღება მიუქცევია სოფელ ჭალუანის მღვდ. დიმიტრი დავითის ძეს ლომიძეს, რომელიც თაობს, რომ 3—4 სოფლისთვის თავის მრევლში დაარსოს ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა. ადგილობრივი მცხოვრები აზნაური ერმინე სოფრომის ძე ლომიძე ამ სკოლისთვის [illegible] სოდ საუკეთესო ადგილას მდებარ[illegible] ერთ ქცევა მიწას, ღირებულის 500—600 მანეთად. ამ ლომიძეს დიდ[illegible] ღვაწლი და შრომა მიუძღვის აგრეთვე ლიჩის სკოლის დაარსებაში [illegible] მის შენობის აგებაში. ამისთანა[illegible] სკოლას აარსებს ტარასი გელაშვილი სოფელ ნადაბურში, რაიცა [illegible]ტად სასიამოვნოა.

მდინარე ძირულის ნაპირის სოფლები, ეგრეწოდებული „ხეფინიხევი“ მდებარეობით და მიწის ნიადაგით მეტად ღარიბია. სამაგიეროდ ვენახებისათვის აქაური ნიადაგი [illegible]ლიან გამოსადეგია და ამ ბოლო [illegible]ნებში ნამყენი ვაზის გაშენებას აქ[illegible]ურებმა მხნედ მოჰკიდეს ხელი. აქ[illegible]ური ნიადაგი მეტად სახეიროა თ[illegible]თისა და ყოველგვარი ხეხილისათვ[illegible]ხილი იმდენი მოდის, რომ თითქმ[illegible] ბაზარზე გააქვთ გასასყიდლად. მეფუ[illegible]ნეობის ამ დარგს, რომ უფრო გ[illegible]ნავითარებდნენ უფრო მეტს ს[illegible]გებლობას ნახავენ მკვიდრნი. თ[illegible]თის ხის უქონლობა დიდად ხელ[illegible] უშლის მეაბრეშუმეობის განვითარ[illegible]ბას. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა [illegible]ფელი მდიდარია ფუტკრით. თითო[illegible]ული მათგანში შეხვდები, რომ თ[illegible]თო ოჯახს ჰყავდეს 100—200 ძ[illegible]სკა, მაგრამ ჩარჩოიანი სკა რა არ[illegible] ამის წარმოდგენაც, მგონი, არა აქვ[illegible] დიდად დამღონებელია ის სურა[illegible]როდესაც შემოდგომით უთვალ[illegible] ფუტკარს აქრობენ. წყალში, რითა[illegible] დიდ ზარალს აყენებენ თავიანთ თა[illegible]ნტოვებენ მხოლოდ სანაშენოდ რ[illegible] დენიძე სკას და როცა ისევ გაძრ[illegible]ლდება, ხელახლად ამსებენ (ა[illegible]ჩობენ) წყლით. ძადლია სწორე[illegible] რომ აქ ვინმე ხელს მიჰყოფდეს [illegible]ციონალურ მეფუტკრეობას და [illegible] თვითონაც ისარგებლებდეს და ხალ[illegible]საც შეაჩვევდეს მის წესიერ მოვლ[illegible] ამ კუთხეში წესიერად დაყენებულ[illegible] მეფუტკრეობა დიდს საარსებო [illegible]სარს აღმოუჩენდა აქაურ მკვიდრ[illegible] როგორც გადმმცეს, მღვდ. ვ[illegible]ვლადიმერ მაჭარაშვილს განუ[illegible]ხავს აქ მეფუტკრეთა ამხანაგო[illegible] დაარსება და, როგორც მეფუტკ[illegible]ობის კარგად მცოდნეს, ამხანაგ[illegible]ბის ხელმძღვანელობაც თვით[illegible] უკისრია.

ხეფინიხეველი.

ს. მარტყოფი (გარე-კახეთი). [illegible] დგრის სამუშაო თითქმის გათავ[illegible] ეხლა შეიძლება ითქვას, რომ გ[illegible]ხის ნამუშევარი ასე თუ ისე და[illegible]სდა. წლევანდელი მოსავალი საშ[illegible]ალო მოსავალს აღემატება; კი პ[illegible]უჩანს აგრეთვე, ფილოქსერისა[illegible] გადარჩენილს ვენახებს და უკ[illegible] თესიც იქნებოდა, რომ წყლით ს[illegible] გებლობა, (მორწყვა) წესიერი [illegible]ფილიყო; მერაბი და განსაკუთრ[illegible] მურვეები მიუდგომლობას ვერ [illegible]ნენ. — აქ რამდენიმე დღის წი[illegible]

ეროვნული საკითხი

(თავი II *)

ეროვნული პროგრამები

3.

ეროვნული-ტერიტორიალური ავტონომია.

როდესაც ერის უფლებებზე გვაქვს საუბარი, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რანაირად სწარმოებს მისი დენაციონალიზაცია იმპერიალისტურ სახელმწიფოს მიერ და ერის ცხოვრებას რამდენნაირად აზიანებს. როდესაც რომელიმე ერს სამშობლო ენაზე ლაპარაკსა და სწავლას უკრძალავენ, როდესაც ართმევენ კერძო საკუთრების შეძენის უფლებას, ე. ი. ართმევენ იმ უფლებას, რომელიც დღევანდელ ბურჟუაზიულ წეს-წყობილების ქვა-კუთხედს შეადგენს, როდესაც ნებას არ აძლევენ სამშობლო ენაზე ილოცონ, — მაშინ ეროვნული ჩაგვრა ცხადი და ყველასათვის თვალსაჩინო ხდება. მაგრამ შემცდარი ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ დენაციონალიზაცია მხოლოდ ამ ვიწრო ფარგლებში სწარმოებს. სახელმწიფოს განკარგულებაშია მრავალი ისეთი საშუალება, რომელიც დამონებულ ერს უსპობს საშუალებას თავისი საკუთარი ძალ-ღონით მოპოვებული სულიერი და მატერიალური სიმდიდრე თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ნაწილი ამ სიმდიდრისა უსათუოდ პატარა ერს ერთმევა გაბატონებული ერის სასარგებლოდ. პროცესსი ამ სიმდიდრის გადასვლისა ერთის შეხედვით უჩინარია, მაგრამ, თუ ღრმად ჩაუკვირდებით ცხოვრებას, დაინახავთ, რომ პატარა ერს, სხვა და სხვანაირი წესითა და საშუალებით, აკლდება ნაწილი თავისი სიმდიდრისა და გადადის ცენტრალურ მთავრობის განკარგულებაში. დიდი სახელმწიფოს ინტერესები და საჭიროებანი კი ისეთი თვისებისაა, რომ ეს სიმდიდრე ჰხმარდება არა იმავ ერის კულტურულ საჭიროებებს, არამედ მთელ სახელმწიფოს მოთხოვნილებებს. ასე ჰხდება არა მარტო ბიუროკრატიულ სახელმწიფოებში, არამედ დემოკრატიულშიც, თუ ეს დემოკრატიული სახელმწიფო ცენტრალისტურია და იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებს. იგი შედეგია არა მარტო მმართველ წრეების ბოროტი ნებისა, არამედ იმ მდგომარეობისა, რომელშიაც ჩაყენებულია მთელი ცენტრალისტური სახელმწიფო. კულტურულად უკან ჩამორჩენილი ერი ამ გვარ ჩაგვრას ნაკლებადა ჭგრძნობს და ნაკლებად აქცევს ყურადღებას ეკონომიურ და სოციალურ ხასიათის დეზორგანიზაციას. მაგრამ ერი, რომელსაც ნაწვნევი აქვს კულტურული ცხოვრების სიტკბობა, სულ სხვანაირად უცქერის საქმეს და ებადება სურვილი, მთელი ჯამი მოპოვებული სიმდიდრისა თავისთვისვე დაიტოვოს. ასეთი სურვილი ყოვლად ბუნებრივია და კანონიერიც. ამიტომ კულტურულად დაწინაურებულ ერებში ეროვნული მოძრაობა ყოველთვის უფრო ძლიერი არის ხოლმე, ვიდრე კულტურულად უკან ჩამორჩენილ ერებში. როგორ შეუძლიან ერს ძიაღწიოს ამ მიზანს? მხოლოდ ისეთი წესების დამყარებით, რომელიც საშუალებას მისცემს მას მთელი თავისი ძალ-ღონე თავისუფლად განავითაროს და მთელი ნაყოფი თავისი შემოქმედებისა თავისთვისვე დაიტოვოს. ასეთს საშუალებად კი მიჩნეულია ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია. ავტონომია იგივე თვითმმართველობაა, მხოლოდ თვითმმართველობა, აღჭურვილი საკანონმდებლო ფუნქციებით. ასეთი უფლებები აქვს მინიჭებული დღეს ინგლისის ახალ-ზელნეს, ასეთი უფლებებით სარგებლობენ შეერთებული შტატების კანტონები, ასეთი თვითმმართველობა აქვს რუსეთში ფინლანდიას. ირლანდია დიდიხანია იბრძვის ავტონომიისთვის. ლორდთა პალატის სიჯიუტე რომ არა ყოფილიყო, ირლანდიას აქამდის ექნებოდა ავტონომია. ძაგრამ ამ ბოლო დროს ინგლისის ლიბერალმა მთავრობამ ლორდთა პალატის ეს სიჯიუტეცა სძლია, და ირლანდია ძალე მიიღებს ავტონომიას.

ერის არამც თუ ეხლანდელი მდგომარეობა, მომავალიც კი მტკიცედ არის დაკავშირებული მიწასთან. რა არის სოციალიზმი, თუ არა სოციალური ხასიათის მოვლენა? სოციალიზმი არის განსაზოგადოვება საწარმოო იარაღისა, განსაზოგადოვება იმისი, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწასთან. შეუძლებელია ადამიანმა წარმოიდგინოს ერის ცხოვრება, განყენებულად მიწისა, განყენებულად ტერიტორიისა, რომელიც ყოველთვის შეადგენდა და ეხლაც შეადგენს ეკონომიურსა და სოციალურ ცხოვრების საფუძველს იმავ ოტტო ბაუერს, რომელსაც გაანვითარებული აქვს თეორია ეხლანდელი ავტონომიისა, სულ სხვანაირი სურათები ეშლება მაშინ, როდესაც მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაზე ფიქრობს და ვარაუდობს, რაში უნდა გამოიხატოს ეროვნული ცხოვრება მომავალ საზოგადოებაში. ეს სურათი იმდენად საყურადღებოა და, ჩვენის აზრით, იმდენად ეწინააღმდეგება თვით ბაუერის მიერვე განვითარებულ ეროვნულ ავტონომიის პროექტს, რომ არ შეგვიძლიან ცოტა დაწვრილებით არ მოვიყვანოთ. „სოციალისტურ საზოგადოებაში, — სწერს ოტტო ბაუერი, — მონაწილეობა მთელი ერისა ნაციონალურ კულტურაში არამც თუ შესაძლებელია, აუცილებელიც არის. დემოკრატია მოითხოვს საყოველთაო აღზრდას, რადგანაც იგი ყველას მოიწვევს საზოგადოებრივ საკითხების გადასაწყვეტად. სკოლა გაჩნდა როგორც ბურჟუაზიული სკოლა. თანამედროვე კაპიტალიზმმა იგი განავითარა და შეჰქმნა სახალხო სკოლა. მაგრამ ისიც კი თავის წარმომშობის ცხადს ბეჭედს ატარებს. იგი სკოლა ისეთს ცოდნას კი არ იძლევა, რანაირიც მშრომელი ხალხისთვის არის საჭირო, არამედ ზრდის ისე, თითქოს „ყველა გერმანელებს კანცელარიებში მუშაობა ჰქონდეთ მიზნად დასახული“. მომავალი სკოლა უპირველესად ყოვლისა მშრომელ ხალხის სკოლა იქნება... ნაციონალურ აღზრდის ნიადაგზე დაიბადა ნაციონალური კულტურა. მომავალ საზოგადოების წევრთა კულტურა უეჭველად ახალი ტიპის კულტურა იქნება... მომავალ ხალხს ესმევა ბეჭედი ხალხოსნობისა, რადგანაც მთელი ხალხი მხოლოდ მაშინ მიიღებს მონაწილეობას საერთო კულტურულ ცხოვრებაში. ტრადიციულ კულტურულ ფორმების ნაცვლად ისინი შემოიღებენ შემოქმედების ახალ ფორმებს, ახალ სიმბოლოებს... მაგრამ რაც უნდა ორიგინალური იყოს ეს კულტურა, იგი მაინც შედეგი იქნება ყველა წინანდელი კულტურისა. (შეადარეთ ეს სიტყვები ყვირილელის ცნობილ ფრაზას: „წარსული მეზობლება“. ა. ჯ.) ყველაფერი, რაც ადამიანებმა პოეზიასა და მუზიკაში შეჰქმნეს, ყველაფერი, რასაც გონებით მისწვდნენ, მემკვიდრეობით გადავა მასსის განკარგულებაში“. ასე აქვს წარმოდგენილი ოტტო ბაუერს მნიშვნელობა ეროვნული კულტურისა. რანაირი უნდა იყოს მნიშვნელობა ეროვნებისა სოციალურ საალმშენებელო მუშაობაში? აი, რანაირ აზრებს გამოსთქვამს ამის შესახებ ოტტო ბაუერი: „გამართვა ახალი ქარხნებისა, მცხოვრებთა განაწილება სხვა და სხვა ადგილებში შედეგი იქნება შეკავშირებული საზოგადოების შეგნებული ნების-ყოფისა. მომავალი საზოგადოება თითონ გამოარკვევს, სად უნდა გაკეთდეს ახალი ქარხანა, იქ, სადაც ნაკლები დაიხარჯება (როგორც ინლანდელი კაპიტალისტი მოიქცეოდა, ა. ჯ.), თუ ტყიან ადგილას, სადაც მუშებს შეეძლებათ რაც შეიძლება სასიამოვნო და ჯანსაღ პირობებში ჩააყენონ თავიანთი მუშაობა. საზოგადოებას დაუბრუნდება უფლება გავლენა მოახდინოს ერზე, განსაზღვროს მისი ბედი... ის ფაქტი, რომ სოციალიზმი ჰხდის ეროვნებას ავტონომიურად, მის ბედს კი — მისავე შეგნებულ ნების-ყოფის საქმედ, იწვევს ერთა დიფერენციაციას სოციალისტურ საზოგადოებაში, იწვევს ხასიათთა გამიჯვნას და ამუშავებს კოლლექტიურ ინდივიდუალურ ერთეულებს“.

როგორცა ჰხედავთ, ოტტო ბაუერი სრულიადაც არ იზიარებს იმ აზრს, თითქოს მომავალ საზოგადოებაში ეროვნული ინდივიდუალობა გაჰქრება, ან შესუსტდება. პირიქით, იგი ამტკიცებს, რომ მომავალ საზოგადოებაში, როდესაც ერის ბედი მთელ ხალხის ხელთ ჩავარდება, ეროვნული დიფერენციაცია უფრო მკვეთრს ხასიათს მიიღებს. მაგრამ ზემოდ მოყვანილი სიტყვები ბაუერისა მარტო ამ მხრით არ არის საინტერესო. გაცილებით უფრო საინტერესოა იგი იმ მხრით, რომ, ბაუერის აზრით, თვით სოციალური ტრანსფორმაცია ეროვნულ ფარგლეში სწარმოებს. თუ წარმოება თვითოეულ ერში ავტონომიურად მოეწყობა, მაშინ ერი ამისთვის ეხლავე უნდა შეემზადოს. ამიტომ კულტურულ ავტონომიასთან ერთად საჭირო ხდება, რომ ერმა ავტონომიურად განავითაროს არა მარტო თავისი კულტურული, [illegible] მედ ეკონომიურ-სოციალური [illegible] ბილებიც. ერმა ეხლავე, თავის[illegible] კუთარ ფარგლებში უნდა შეჰქ[illegible] სოციალური ელემენტები მომავ[illegible] საზოგადოებისა. ეს კი შეუძლებ[illegible] გაჰხდება, თუ ერმა არ მიიღო სა[illegible]ალება ყველა ძალთა თავისუფ[illegible] განვითარებისა. სოციალური პ[illegible] გრესისთვის ისევე საჭიროა თავ[illegible] ფლება, როგორც კულტურ[illegible] პროგრესისთვის. და თუ საჭი[illegible] მიგვაჩნია ავტონომიურ უფლ[illegible] მინიჭება კულტურულ განვითარ[illegible] უზრუნველსაყოფელად, საჭ[illegible] უნდა მივიჩნიოთ ისეთი წეს[illegible] ბილების დამყარებაც, რომ[illegible] ერის ეკონომიურსა და სოციალ[illegible] ზრდას უზრუნველჰყოფს. ეკ[illegible] მიური ცხოვრება ვერ შეგვიძ[illegible] ტერიტორიისაგან განყენებ[illegible] წარმოვიდგინოთ. ამიტომ [illegible] ჰსურს ერის სოციალურ-ეკონო[illegible] რი პროგრესი, შესაფერ პირო[illegible] შიაც უნდა ჩააყენოს. ასეთს [illegible] ბებს კი ერისთვის მხოლოდ [illegible] ნულ-ტერიტორიალური ავტო[illegible] ჰქმნის.

იქ, სადაც ავტონომიურ წეს[illegible] ბილების განხორციელება [illegible] კულ ნიადაგზე სდგას, სადაც [illegible] ნომიის მომთხოვნელებს, ისე [illegible] თველ წრეებს შეგნებული აქვ[illegible] შენელობა ავტონომიისა და მის[illegible] გებლობა, საფუძვლად ავტონ[illegible] ტერიტორიალურ პრინციპს [illegible] და არა სთხზავენ ქიმერიულ [illegible] ტებს ექსტერიტორიალურ ავტ[illegible] მიისას. ასე იქცევიან იმიტომ, [illegible] ეროვნული განვითარების მ[illegible] შეურყეველ გარანტიას [illegible] ეროვნულ-ტერიტორიალური [illegible] ნომია იძლევა. მაგრამ იქ, სად[illegible] და სხვა მიზეზებისა გამო, ერ[illegible] თვითგამორკვევას მტრულად [illegible] ვიან, სადაც გულ-წრფელ[illegible] არიან დაინტერესებულნი ერ[illegible]

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 956

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუჩაშვილის დუქანში რამაზ შპეტიშვილს, ახალგაზდა გლეხს, უცაბედად რევოლვერი გაუვარდა, ტყვია თავში მოხვდა, თავისქალა აჰგლიჯა და საცოდავი გლეხი იქვე გამოასალმა წუთისოფელს.

20 ივლისს გამართეს მეორე წარმოდგენა ი. ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშვავად. დადგეს „ქართველი დედა“ და ვოდევილი „მე მოვკდი“. როგორც პირველი ისე მეორე მწყობრად ითამაშეს.

შემდეგი წარმოდგენა იქნება 6 მარიამობისთვეს. წარმოადგენენ „ხანუმა“-ს. **სცენის მოყვარე.**

ძირულის ხეობა. ზემო იმერეთის სოფლების უმეტესი ნაწილი მოფენილია მთა-გორაკიან ადგილებში. ამის მიზეზია, რომ ერთი ხეირიანი გზა არ შედის თითქმის ზემო იმერეთის არც ერთს სოფელში. ბევრი სოფელი უგზოობისა გამო დავ წყებულია და მიყრუებული. ხალხს ვერ მოუხერხებია, რომ რიკინის გზას დაუახლოვდეს, გავიდ-გამოვიდეს, ან იყიდოს რამე, ან თავი გაჰყიდოს. მუშა ხალხი მეტად შეეწროებულია; ის სოფლები, რომელნიც ძირულის ხეობას აკრავს, უფრო მეტად ჰგრძნობენ უგზოობის სიმწვავეს. მართალია, არის ერთი საურმო გზა სადგურ ძირულიდან მოყოლებული, რომელიც შეჰყვება მდინარე ძირულის პირს და გადადის დ. სურამში, მაგრამ ეს გზა მეტად ვიწროა. ერთი მადლიანი მოთავე არ გამოუჩნდა ამ მეტად საყურადღებო საქმეს, რომ გზა გაეფართოებინა და დილიჟანი მაინც დაეწესებინა, ხოლო, ჩემის აზრით, ერთი და ორი დილიჟანსი კარგად იმოქმედებს სადგურ ძირულიდან დ. სურამამდე. დღეს კი მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია არიან ამ მხრით აქაურნი მცხოვრებნი. ერთი სიტყვით, უგზოობა ერთად-ერთი მტერია აქაური სოფლელებისთვის, რომელიც აფერხებს და ხელს უშლის ყოველ კულტურულ საქმის წინსვლას. მ უხედავად ყველა ამისა, ზემო იმერეთის მცხოვრებნი ჩაბმულნი არიან საერთო ცხოვრების ფერხულში. ვრცელდება სოფლად კულტურული დაწესებულებანი: სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, ბანკები, საზოგადო დუქნები და სხვანი. ამ ათი წლის წინად ზემო იმერეთში თუ მოიპოვებოდა ორი, ან სამი ორკლასიანი სამინისტრო სკოლა, დღეს მათი რიცხვი მრავალია. წიგნთ-საცავ-სამკითხველოებმაც ეხლა საგრძნობლად იმატა. სჩანს, ხალხს სწავლა-წყურიან და განათლება-განვითარებისკენ მიილტვის. მეტი სიცოცხლე და გამოფხიზლება დაეტყო ამ ორი წლის განმავლობაში ძირულის ხეობაში მდებარე სოფლებსაც უბისასა და ღორეშას.

ჭირნახულით მდიდარი სოფ. ღორეშა ამ ბოლო დროს დაეწაფა ცხოვრების გაუმჯობესებას. აქამდე აქ არსებობდა ერთკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლა. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ღორეშლებს ეს სკოლა ვერ აკმაყოფილებდა, რადგან მცხოვრებთა რიცხვი 400 კომლს აღემატება. ამ წლის იანვრის პირველ რიცხვებში აქ გაიხსნა საერობო სკოლა ბ. სიმონ გიორგის ძის ორჯონიკიძის შუამდგომლობით და მეცადინეობით. ამავე ბ. სიმონ ორჯონიკიძემ და ბ.ბ. ტარასი და ავქსენტი ორჯონიკიძეებმა უფასოდ დაუთმეს სოფელს მიწა სკოლისთვის, რისთვისაც მათ დიდ მადლობას სწირავს საზოგადოება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სოფელშიაც არიან ქვენა გრძნობით აღტურვილნი პირნი, რომელნიც ათასგვარ ჭორს ავრცელებენ ამ სკოლის შესახებ. მაგრამ ღორეშელები არც ისე ბრმა არიან, რომ კარგი ავისაგან ვერ გაარჩონ. ისინი არ აჰყვეჰიან ავს ხმას და ერთხელ დაწყებულ საქმეს მეტის სიფრთხილით და დაკვირვებით გაუძღვებიან. როგორც გამოანგარიშებულია, ღორეშლებს ამ ახლად გახსნილი საერობო სკოლის შენობა 6000—7000 მ. დაუჯდება; ამაში ერთ მესამედს მთავრობა იხდის, დანარჩენი კი სოფელმა უნდა იკისროს. ამდენი ფულის გადახდა ღორეშლებისთვის არ არის მაინც-დამაინც საძნელო, მით უმეტეს მაშინ, თუ გლეხებს აზნაურობაც შეუდგა ხარჯში. ამ ორი წლის წინად დაარსდა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგოების უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რასაც საზოგადოება დიდის აღფრთოვანებით მიეგება. პირველ ხანებში მართლაც კარგად მიდიოდა საქმე, მაგრამ შემდეგ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მოქმედება ცოტახნით შეჩერებული იყო. ღორეშელებზე რაღას იტყვი, როცა ამგვარ დაწესებულებას დაბებშიაც ვერ უძღვებენ ჯეროვანად. 14 ივლისს სამკითხველოს გამგემ, ბ. ნ. ა. ორჯონიკიძემ მოიწვია გამგეობის კრება და იქონია მსჯელობა სამკითხველოს მდგომარეობაზე. განსახილველი იყო მრავალი საკითხი. სხვათა შორის მიიღეს გამგეობის წევრის ბ. არისტოკლე რამინიშვილის შემდეგი წინადადება: ღორეშის წიგნთსაცავ-სამკითხველოს ეწოდოს სახელი დავით ზ. სარაჯიშვილისა, დაიკიდოს მისი სურათი სამკითხველოს დარბაზში, გაეგზავნოს თხოვნა დ. ზ. სარაჯიშვილის მეუღლეს და ეთხოვოს ნივთიერი დახმარება სამკითხველოსათვის. იქვე გამგეობის წევრებმა მღვდ. მამა სიმონ კურტანიძემ და ი. ა. ორჯონიკიძემ შეეხოსწირეს სამკითხველოს პირველძა 5 მან. და მეორეძ სკამები, რისთვისაც დიდი მადლობა გადაუხადა მათ გამგეობამ. დიდი მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ადგილობრივი მარიამწყაროელივაჭრები, რომელნიც დროებით უფასოდ უთმობენ საკუთარ შენობას სამკითხველოს და ყოველთვის მზად არიან ემსახურონ ამ წმიდა საქმეს. გამგეობამ მადლობა გამოუცხადა აგრეთვე რედ. მღვდ. მ. სიმონ მჭედლიძეს, რომელიც უფასოდ უთმობს სამკითხველოს „შინაურ საქმეებს“. ბ. არისტოკლე რამინიშვილს, „ რომელიც დროებით უთმობს სამკითხველოს „სახალხო გაზეთს“ და „იმერეთს“.

ღორეშის ახლოს მდებარეობს პატარა სოფელი უბისა. გარეგნულად მშვენიერია ეს სოფელი. მდინარე ძირულის აქეთ-იქით კალთებზე მჭიდროდ დასახლებულია. სოფ. უბისას ამშვენებს ძველი ნაშთი, თვით სოფლის ეკლესია, რომელიც, როგორც წარწერა გვიჩვენებს, აშენებულია 1141 წ. ჭყონდიდელისაგან. ეკლესიის გვერდით არის აღმართული კოშკი. ძველი ბიზანტიური მხატვრობა ეკლესიისა არ ჩამოუვარდება სხვა ჩვენ სიძველეთა მხატვრობას. წასულ წელს აქ იყო ახალგაზდა მკვლევარი ბ. პავლე ინგოროყვა, რომელმაც ბევრი საინტერესო ცნობა ამოიკითხა. ასეთ შესანიშნავ სოფელში დღემდე არ არსებობდა სკოლა. ამ წლის პირველ იანვრიდან აქ გაიხსნა ადგილობრივის მღვდ. დამენტი რამინიშვილის თაოსნობით სამინისტრო სკოლა. უბისლები დიდი ხალისით შეხვდნენ ასეთ საქმეს. უბისლები ძალიან მკვირცხლი და მაჯაცი ხალხია და იმედია ერთხელ დაწყებულ საქმეს კეთილად დაადგვირგვინებენ. აღსანიშნავია, რომ უბისაშო რაღაც საღებავი მადანი გამოჩენილა. ეს მადანი ინახულა ინჟინერმა ბ. მიხაილოვმა და მოიჯარადრემ ბ. მოსეშვილმა. მგონი. გაუღიმოს უბისლებს ბედმა და ღარიბი ხალხი ფეხზე წამოაყენოს, თუ მართალია და ამ მადანს ბაზარი მოუპოვეს, -მაშინ მდინარე ძირულის პირზე გზაც შეკეთდება, რითაც დიდად ისარგებლებენ ძირულის ხეობაში მცხოვრებნი.

ვ. რამინიშვილი.

უცხოეთი

რევოლიუცია ვენეცუელაში.

ვენეცუელა ერთ იმ ადგილთაგანია, სადაც ძალიან ხშირად ხდება რევოლიუციები. მაგრამ ეს რევოლუციები განსაკუთრებული თვისებისაა. მოაგროვებს რომელიმე ავანტიურისტი მომხრეებს, ჩამოაგდებს პრეზიდენტს და თითონ გაპრეზიდენტდება. უკმაყოფილო, პრეზიდენტობიდან გადაყენებული, მოაგროვებს თაყის მომხრეებს, ახალ პრეზიდენტს ჩამოაგდებს და თითონ გაპრეზიდენტდება. ერთი ამისთანა რევოლუციაა მოხდა ამ ჟამად ვენეცუელაში. ამ ჟამად რევოლუციის ორგანიზატორობა და მეთაურობა იკისრა პრეზიდენტად ნამყოფმა კასტრომ. მან ომი გამოუცხადა ეხლანდელ პრეზიდენტს გომეცს, რომელიც კასტროს რესპუბლიკისათვის მავნე პირად მიაჩნია. პრეზიდენტი გომეცი ჯარით უკვე წასულა პურტო-კაბელოში და, როგორც ვენეცუელის მთავრობა იუწყება, ორჯელ კიდეც დაუმარცხებია აჯანყებული კასტრო. ამერიკის შერთებულ შტატების გაზეთები კასტროს პოლიტიკურ ავანტიურისტადა სთვლიან

არეულობა ინდოეთის მაჰმადიანებისა.

როგორც მკითხველებმა იციან, ოსმალეებმა ისევ დაიჭირეს ადრიანოპოლი, რომელიც ყველა მაჰმადიანთა წმინდა ადგილად ითვლება. ინგლისი ამას ეწინააღმდეგება. ხმებმა, ინგლისს უნდა ადრიანოპოლი წაართვას ოსმალეთსაო, ინდოეთის მაჰმადიანებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. აღშფოთება იქამდის ძლიერი ყოფილა, რომ ბევრგან საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მისულა. ბენგალის ინდოელები, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაჰკარგვიათ იმედი ინგლისის ბატონებისაგან განთავისუფლებისა, მხარს უჭერენ მაჰმადიანებს და პროტესტზე აქეზებენ.

რუსეთი

გაბრიელ დ'ანუნციო პეტერბურგში.

შემოდგომისათვის პეტერბურგში მოელიან ცნობილ იტალიელ მწერალს გაბრიელ დ'ანუნციოს.

ბეილისის საქმე.

ბეილისმა განუცხადა კიევის საოლქო სასამართლოს, რომ დამცველად სხვების გარდა ირჩევს გამოჩენილს ნაფიც ვექილს ნ. პ. კარაბჩევსკის, რომელსაც ეხლა შუამდგომლობა აღუძრავს, რათა საქმის განხილვის დროისთვის მოიწვიონ ექსპერტებად ყაზანის პროფესორი ოსიპოვი და ბერლინელი პროფესორი შტარკი.

ერობა აღმოსავლეთ ციმბირში.

ქ. ენისეისკისა, ენისეის გუბერნიისა და ქ. აკშის ზაბაიკალის ოლქის ქალაქების რწმუნებულთ ერთხმად დაუდგენიათ: აღძრან შუამდგომლობა მთავრობის წინაშე აღმოსავლეთ ციმბირში ერობის დაუყოვნებლივ შემოღებისათვის.

აგრარული მოძრაობა.

ფინლანდიის გუბერნატორის ბეკმანის მამულში აგრარული მოძრაობა დაიწყო, რომლის დროსაც გლეხებმა თავის ნებით აძოვეს საქონელი ბეკმანის მამულში. ამის გამო ადმინისტრაციას დაუპატიმრებია 18 კაცი, რომელთაც მეთაურებად სთვლიან.

ბაპტისტები და სამხედრო ბეგარა

პეტერბურგის ბაპტისტების თავმა, მოძღვარმა ვ. ა. ფეტლერმა, ინახულა სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი მენკინი და ეცადა შესახებ ბაპტისტების მოძღვრების მავნებლად აღიარებისა. ეს საკითხი აღიძრა სამინისტროში კავკასიიდან მოსული ცნობების გამო, რომ ბაპტისტები ფიცის მიღებისა და იარაღის ტარებაზე უარს ამბობენო. ფლეტერმა აღნიშნა, რომ ეს სინამდვილეს არ ეთანხმება, რადგანაც ეწინააღმდეგება ბაპტისტების მცნებასაო. ბაპტისტების კატეხიზმის მე-13 მუხლში მარტივად არის გამოთქმული: „ჩვენ გვრწამს, რომ მთავრობა ახალ აღთქმაშიაც არ ატარებს ტყუილად ხმალს და ამიტომ ჩვენ ვსთვლით ჩვენს თავს ვალდებულად, როდესაც მოვვთხოვს მთავრობა, წავიდეთ სამხედრო ბეგარის მოსახდელად“. ფიცის მიღებისაგან უარს კი არ ამბობენ ბაპტისტები, არამედ უარს ამბობენ აღასრულოდ მართლ-მადიდებელთა ფიცის მიღების ფორმები (ჯვრისა და სახარების მთხვევა). ფლეტერს თვითონ ჰქონია შემთხვევა ჯარის-კაცთა დაფიცებისა; მხოლოდ ბაპტისტები „ვფიცავ“-ის მაგიერ „ვიძლევი მტკიცე აღთქმას“-ო ამბობენ. დასასრულ ფეტლერმა აღნიშნა, რომ რუსეთში ეხლა 100.000 ბაპტისტია და მათი რწმენის მავნებლად გამოცხადება, საეჭვოა, რომ მთავრობისათვის სასარგებლო იყოსო.

სხვა და სხვა ამბავი

რუსეთის თავგები და ჯარიმა.

პსკოვის კონსისტორიამ განიხილა საქმე ოსტროვსკის ტაძრიდან წმ. ნაწილების დაკარგვის შესახებ. როგორც გამოძიებამ გამოარკვია, წმ. ნაწილები თურმე ცუდად ინახებოდა და თავგებს შეუჭამია. „პსკოვის ცხოვრება“ იტყობინება, რომ ეკლესიის მღვდელ-მსახურნი 25 მანეთით დაჯარიმეს.

ი. მანთაშევის თავგასულობა.

24 ივლისს, პეტერბურგში, რესტორან „მავრიტნიას“ ერთ-ერთ კაბინეთში ქეიფობდნენ ი. მანთაშევი, ა. ბერსი და თავადი გ. ბებუთოვი. „კაბინეთიდან“ ერთი ყვირილი, ჭურჭლის მტვრევა, სიმღერა და სხვა ისმოდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი „ჩინებულად“ მიდიოდა, მაგრამ დილის 4 საათზე ოთახიდან სროლა მოისმა. იფიქრეს, რომ ოთახში უბედურება მოხდაო და შეცვივდნენ შიგ. თურმე ბებუთოვს უბრალოდ გაესროლა რევოლვერი ჭერში. ყველანი პოლიციაში წაიყვანეს. გზაში ძოქეიფენი დასცინოდნენ და ლანძღავდნენ უბნის ზედამხედველს. როდესაც „ნაწილში“ ოქმი შეადგინეს, ი. მანთაშევმა ხელის ძოწერაზე უარი სთქვა და განაცხადა.

— მე მდიდარი ვარ, სულერთია გამოვისყიდიო. ოქმი სასამართლოში გაგზავნეს.

სადავიდარაბო ნაპოვარი.

მოსკოვში ნიკოლოზ-ცხოველმყოფელის ეკლესიის ალაყაფის კარებთან ორმა გამვლელმა ბოღჩაიპოვეს და ჩხუბი მოუვიდათ. ერთი ამბობდა: მე პირველმა შევამჩნიეო, მეორე ამბობდა: ჩემია, რადგან მე პირველმა ავიღეო. მოჩხუბარნი პოლიციაში წაიყვანეს და როდესაც ბოღჩა გახსნეს შიგ ახლად-დაბადებულ ბავშვის გახრწნილი გვამი აღმოჩნდა. რასაკვირველია, ორივემ მაშინვე უარი სთქვეს ნაპოვნზე.

სამღვდელო პირთა განქორწინება.

უკანასკნელ ხანებში რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ მღვდლებს ცოლები გაჰყარეს, უკანასკნელთა ძრუშობის გამო. ხერსონის არქიეპისკოპოზმა ნაზარიმ აღძრა საკითხი, რომ ასეთ გაყრილ ცოლებს აეკრძალოთ ხელმეორედ გათხოვება, რადგან ხალხის აზრი შეიცვლება და ზნეობა შეირყევა, როდესაც დაინახავენ, რომ ღვდლის სიცოცხლეში მისი ცოლი გათხოვდებაო. არქიეპისკოპოზი ნაზარი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთში მღვდლის ქვრივებსაც კი არ შეუძლიანთ ხელმეორედ გათხოვებაო.

უარისთქმა უკულტურო გაზეთის ხელის მოწერაზე.

პოლტავის ებრაელ ნოქრთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების გამგეობას გაუგზავნია გაზ. „პოლტავსკი გოლოსის“ რედაქციისათვის შემდეგი შინაარსის წერილი: „გთხოვთ გაზ. „პოლტ. გოლ.“, რომელსაც „პოლტავსკაია რეჩის“ მაგიერ გვიგზავნით ნულარ გამოგვიგზავნით. იმ გაზეთის გამოწერა, რომელსაც ვლადიმერ ვლადიმერის ძის ჟანონის ძის კოროლენკოს იუბილეი, შეუძლებლად მიგვაჩნია“.

აისედორა დუნკანი და ავტომობილი.

არავისათვის არ მიუყენებია ავტომობილს ისეთი უბედურება, როგორიც მიაყენა გამოჩენილ მოცეკვავ ქალს დუნკანს. ჯერ შვილები გადაუცვივდა წყალში ავტომობილით და ეხლა კინაღამ თითონაც არ გადავარდა ავტომობილით წყალში. დუნკანი პარიზიდან ორანჟში წავიდა ავტომობილით, წარმოდგენაზე დასასწრებლად. გზაში ავტომობილი გაფუქდა და ამის გამო დაულმდათ. როდესაც ავტომობილი შეუკეთებიათ და გამგზავრებულან, პატარა ხნის უკან საშინელი ლაწანი გაისმა. შეშინებული დუნკანი და მისი ძმა ჩამოხტნენ და ნახეს, რომ ავტომობილი ნახევრად წყალში იყო გადაყუდებული. თურმე ავტომობილი მოაჯირს დასჯახებია და კინაღამ წყალში გადავარდნილა.

სახელმწიფო ეგზამენები რუსეთის უნივერსიტეტებში.

სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით მომდინარე წლის შემოდგომაზე რუსულ უნივერსიტეტებში სახელმწიფო ეგზამენების შემდეგი კომისიები იმოქმედებს:

ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში: იურიდიული (თავმჯდომარე—პრ. ციტოვიჩი), საფიზიკო-სამათემათიკო (თავმჯდომარე—პროფ. კოიალოვიჩი) და ისტორიკო-ფილოლოგიური (თავმჯ.—პროფ. პეტროვი).

მოსკოვის უნივერსიტეტში: იურიდიული (თავმჯდომარე — პროფ. გიდულანოვი) და ფიზიკო მათემათიკური (თავმჯ.—ბ-ნი ედანოვი).

კიევის უნივერსიტეტში: იურიდიული (თავმდმჯ.—პროფ. ალმაზოვი) და ფიზიკო-მათემათიკური (თავმჯ. პროფ. სუსლოვი).

ადესის უნივერსიტეტში: ფიზიკო-მათემათიკური (თავმჯდ. პროფ. მელიქიშვილი).

ყაზანის უნივერსიტეტში: იურიდიული (თავმჯდ. პროფ. დორმიდონტოვი).

ხარკოვის უნივერსიტეტში: იურიდიული (თავმჯდ. ხარკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი პროფესორი სოკოლოვსკი).

ეგზამენების ვადად დანიშნულია 1 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე.

გარდა ამისა ამ კომისიებთა დამოუკიდებლად 1911 წლის 19 დეკემბრის კანონის ძალით ინიშნება საექიმო გამოცდის კომისიები. **მოსკოვში**—ქალთა უმაღლეს კურსების კურს დამთავრებულთათვის; ხარკოვში—ხარკოვის ქალთა საექიმო ინსტიტუტს კურს დამთავრებულთათვის და **პეტერბურგში**, ქალთა საექიმო ინსტიტუტის კურს დამთავრებულთათვის. ამათთვის დასაწყისის ვადად დანიშნულია ოქტომბერი ხოლო დასასრულს თავმჯ. კომისიის, თავმჯდომარე აცხადებს.

ბალკანეთის მდგომარეობა

(დეპეშ. პეტ. საგენტოსაგან)

29 ივლისი.

სოფია. მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა გამოაცხადოს ჯარი დათხოვნილად. საკრებულო ტაძარში მეფისა და მეფის მეუღლის თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი ომის მსხვერპლთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს შემდეგ მეფეს ხალხი აღტაცებით შეეგება. სასახლეში ფეხით მიმავალი მეფე აღტაცებით გააცილეს.

ბელგრადი. ზავის ჩამოვარდნის გამო საკრებულო ტაძარში მეფის, მეფის მემკვიდრის და სადიპლომატო წარმომადგენლობის წევრთა თანადასწრებით პარაკლისი იქმნა გადახდილი.

ბუქარესტი. მაიორესკუმ მიიღო დეპეშა საგარეო საქმეთა მინისტრის საზოგოვისაგან, რომელიც ზავს ულოცავს.

რევა. ალბანეთის მოხელე ყადრი ემინ ბეი სწერს გაზეთ „რეჩკენოვინაში“, რომ ალბანეთის მომავალ თავადის გამგეობა დღენაკლული იქნება, მას შეეძლება თავი ბედნიერად სცნოს, თუ ხანჯლისაგან სიკვდილს გადაურჩა. ალბანელნი დარწმუნებულნი არიან, თავადის მფარველობის ქვეშ განუსაზღვრელ თავისუფლებას მიიღებენ და სახელმწიფო გადასახადს არ გადაიხდიან. ალბანეთის ახალ გამგეობას არ შეუძლიან წესიერება დაამყაროს ალბანეთში.

დით და ეროვნული საკითხი იმდენად აინტერესებთ, რამდენადაც იგი გენებაში დალაგებით ჩაბეჭდილ გეგმებში დისონანს ახდენს და საჭიროა ჰხდება ამ მოვლენის შეთანხმება საერთო გეგმასთან,—რამდენადაც ასე ზედაპირულად უცქერიან საკითხს, იმდენად მეტი დაბრკოლება ეღობება წინ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას. წინასწარი გრძნობებით რომ არ იყოს გატაცებული ადამიანი, დაბრკოლებათა ძლევა ძალიან ადვილი საქმე იქნებოდა და ქიმერიული პროექტების თხზვაც საჭიროს არ გაჰხდება. პირველი და უმთავრესი დაბრკოლება ტერიტორიის საზღვრების გამორკვევაა. რა უნდა დაედოს საფუძვლად ეროვნულ ტერიტორიას? აქ ორგვარი საზომი შეგვიძლიან ვიხმაროთ: ისტორიული და ფაქტიური. ერი, რომელსაც ოდესღაც დამოუკიდებელი ისტორიული-პოლიტიკური ცხოვრება ჰქონია, დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ხშირად ფერს იცვლის. მისი პირდაპირი ზედგავლენა ისპობა მრავალ ისეთს ადგილას, რომელიც მის განუყოფელს ნაწილს შეადგენდა დამოუკიდებულობის დაკარგვამდე. ნაციონალისტური აზროვნება ასეთი ადგილების დაკარგვას, რა თქმა უნდა, ვერ ურიგდება. ისტორიული ტრადიციები ფრიად კონსერვატიული თვისებისაა და ძნელად აღმოიფხვრება ხოლმე ადამიანის გულიდან. მაგრამ ამისთანა დიდმნიშვნელოვან საკითხების გამორკვევის დროს შეუძლებელია ვისარგებლოთ ისეთი ცვალებადი საზომით, რანაირიც არის ისტორიული ტრადიციები და მათ მიერ გამოწვეული გრძნობები. როდესაც ტერიტორიალურ გამიჯვნის საზომად ისტორიული ტრადიციები აუღიათ, ეროვნული ბრძოლა ყოველთვის გაძლიერებულა და მახინჯი ფორმა მიუღია. ამიტომ, თუ გვინდა ეს უმთავრესი დაბრკოლება ძლეულ იქმნას, ისტორიული საზომით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ. დარჩა მეორე საზომი, ფაქტიური. ერს უნდა შემოფარგლოს მხოლოდ ის ტერიტორია, რომელზედაც ფაქტიურად მოსახლეობს და რომლის უმრავლესობასაც შეადგენს. ასეთს ტერიტორიაზე, მიუხედავად ეთნოგრაფიული სხვა და სხვაობისა, მაინც შექმნილი არის ხოლმე ერთგვარი სოციალ-ეკონომიური სურათი. შორს რომ არ წავიდეთ მაგალითისთვის, საქართველო. საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგან, სხვა და სხვა ადგილას, სცხოვრობენ ებრაელები, სომხები და ოსები. მიუხედავად იმისა, რომ თვითოეულ მათგანს შეგნება ეროვნული განსხვავებისა არ დაუკარგავს, მაინც ვერ ვიტყვით, თითქოს მათი სოციალ-ეკონომიური ინტერესი ქართველი ხალხის ინტერესებისაგან განსხვავდებოდეს. ქუთათური ან ცხინვალის ებრაელები, გორის მაზრაში აქა-იქ დასახლებული სომხები და ოსები ისევე დაინტერესებულნი არიან საქართველოს საერთო წარმატებაში, რანაირადაც თვით ქართველები. ერთნაირს სოციალურს და ეკონომიურ პირობებში უხდებათ მათ ცხოვრება, მაშასადამე, ერთნაირია მათი სოციალური და ეკონომიური ინტერესიც. თითქმის ყველგან საქართველოში ზემოდ-დასახელებულ ერთ, ამ საერთო სოციალურ წყობილების ზედ-გავლენით დაუკარგავთ ის სპეციფიური თვისება, რომელიც სასტიკად ანცალკევებს ერთს ეროვნებას მეორესაგან. ქართველი გლეხისა და საქართველოში მცხოვრებ სომეხ გლეხის ბედი ერთნაირია და ხშირად გარეგნულადაც ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ ძალიან დაკვირვებული ადამიანიც კი ვერ გამოიცნობს, რომელია სომეხი და რომელი ქართველი. ასეთნაირი ტერიტორიალური ერთეული ადვილად შესაძლებელია ავტონომიის საფუძვლად გადაიქცეს, თუ, რასაკვირველია, განზრახ არ მოვინდომებთ დაბრკოლებათა გაზვიადებას.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სტრუქტურა ამა თუ იმ ტერიტორიისა ერთგვარია, მაინც შესაძლებელია არსებობდეს ეროვნული უმცირესობა, რომელსაც თავისი საკუთარი ეროვნული ინტერესი ექნება. როგორ უნდა უზრუნველყოთ ამ უმცირესობის უფლება. მათ უზრუნველსაყოფელად არსებობს ორი საშუალება: პროპორციონალური არჩევნები და კულტურული ავტონომია. უმცირესობას უფლება უნდა ჰქონდეს, პროპორციონალურად თავისი რიცხვისა, წარმომადგენლები ჰყავდეს ავტონომიურ პარლამენტში. გარდა ამისა, ავტონომიურ სეიმის ბიუჯეტიდან, პროპორციონალურადვე, ნაწილი თანხისა უნდა გადაიდოს ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამისათვის წესდება განსაკუთრებული ორგანო, შეიძლება მას დაერქვას ეროვნული სეიმიც, რომლის განკარგულებაშიც გადადის კუთვნილი თანხა. როგორც პირველი, ისე მეორე უფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს საიმპერიო კანონმდებლობით. ასე შეიძლება მოეწყოს უმცირესობა ავტონომიურ ერთეულში.

ადვილად შესაძლებელია ბევრს ეს კულტურული ავტონომია ისეთსავე ინსტიტუტად მოეჩვენოს, რანაირიც არის ეროვნული ავტონომია. ეს შემცდარი აზრი იქნება. ეროვნული ავტონომია საჯარო-უფლებრივი ინსტიტუტია და ამიტომაც ვალდებულებითი ხასიათისაა. თუ ვალდებულობის ხასიათი ჩამოაშორეთ, ეროვნული ავტონომიის განხორციელება შეუძლებელი გაჰხდება. კულტურული ავტონომია ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიაში კი ნება-ყოფლობითი ხასიათისა იქნება. საერთო ავტონომიური სეიმი განსაზღვრულ ჯამს გადასდებს სხვა და სხვა ეროვნებათა კულტურულ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. იმდენად, რამდენადაც თვითოეული წარმომადგენელი ამა თუ იმ ერისა ჰგრძნობს ეროვნულ-კულტურულ მოთხოვნილებას, შეუძლიან იგი დაიკმაყოფილოს. ეროვნება მის ვალდებულებას არ შეადგენს, მაგრამ უფლება და შეძლება კი აქვს ეროვნული მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, თუ ამ მოთხოვნილებასა ჰგრძნობს. ამისთანა პირობებში ეროვნულ უმცირესობათა კულტურული საჭიროებანი დაკმაყოფილებული იქნება და ამასთანავე ერთად საშუალებაც ექნება მონაწილეობა მიიღოს იმ ერის საერთო მუშაობაში, რომლის სოციალურ ცხოვრებასთან ორგანიულად არის დაკავშირებული.

რა თქმა უნდა, ვერც ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული საკითხის იდეალურად გადამწყვეტ საშუალებად. დღევანდელ, კაპიტალისტურ ხანაში იდეალური პროექტისა და პროგრამის შედგენა პრინციპიალურად შეუძლებელია. მაგრამ ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია მაინც ერთად-ერთი საშუალებაა, რომელიც ერისთვის განვითარების საუკეთესო პირობებსა ჰქმნის. ზოგიერთ დაბრკოლებათა ძლევა ზემოხსენებულ საშუალებებიო შეიძლება. თუ ამ დაბრკოლებებს ძალიან არ გავაზვიადებთ და ზომებს მივიღებთ მათ მოსასპობად, ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია განხორციელდება და დიდს, ძალიან დიდს სარგებლობასაც მოუტანს იმ კუთხეს, რომელიც ამ ბედნიერებას ეღირსება.

არ. ჯ—შვილი.

სოფია. გამოქვეყნებულია მეფე ფერდინანდის ბრძანება ჯარისადმი. მეფე გაიხსენებს ბულგარელთა გამარჯვებას ოსმალების წინააღმდეგ. ომი გათავდა ბალკანელთა იარაღის საზეიმო გამარჯვებით, ბულგარეთის ჯარმა ქვეყანა გააკვირვა ვაჟკაცობით და წესით და აღადგინა ძველ ბულგარეთის მეფეთა ძლევამოსილება. შემდეგ ნათქვამია: ჯარის კაცნო, როდესაც უნდა დაბრუნებოდით თქვენს სახლ-კარს თავზე დაგატყდათ ახალი ომი. ჩვენმა მოკავშირეებმა, რომლებთანაც კავშირი გვქონდა შეკრული, მოინდომეს იმის წართმევა რაც ათასობით დახოცილ გმირთა ფასით გვიყიდნია. ასეთის ურწმუნო მოქმედებით აღელვებულს ბულგარეთის ერს, დაწყებული ერისთავიდან უბრალო გლეხი კაცამდე და დღეს ქირით არსებულ მუშამდე აღელვებულთ, არ შეეძლოთ შერიგებოდნენ ასეთს დამცირებას. არც ერთს პატრიოტული გრძნობით გამსჭვალულ ბულგარელს არ შეეძლო უომრად დაეთმო მონასტერი, ოხრიდა, დებრი, პრილეპა, სალონიკე, სერესი და სხვა ბულგარელთა მიწა-წყალი. ჩვენ წინანდელ მოკავშირეებთან იძულებულნი ვიყავით გაგვეახლებინა მძიმე ომი. იგი წარმატებით დამთავრდებოდა, რომ საქმე მოულოდნელ პოლიტიკური ვითარებით არ შეფერხებულიყო. ყოველი მხრიდან ძალ-დატანებულნი იძულებული გავხდით ზავისათვის ხელი მოგვეწერა ბუქარესტში. ჩვენი სამშობლო უძლური იყო ხუთი მეზობლის წინააღმდეგ ეომნა, შეეძლო ყველაფერი დაეკარგა. დაღალულნი და დაქანცული იძულებულნი ვიყავით დაგვეშვა ძირს სახელ-განთქმული დროშები უკეთეს დროის მოლოდინში. ჯარის-კაცნო ეხლა, როდესაც თქვენ რაზმები უნდა დაჭოვოთ და სახლ-კარს დაუბრუნდეთ, მოვალეთ ვსთვლი ჩემს თავს მთელი ბულგარეთის სახელით მადლობა გიძღვნათ ტანჯვა-წვალებისათვის, მსხვერპლისათვის, რომელიც თქვენ მოუტანეთ საშობლოს ამ დიად ომში. ღმერთმან გაკურთხოთ თქვენი საქმისათვის. ისტორია და შთამომავლობა სამართლიანად აღბეჭდავს თქვენს სახელს ოქროს ასოებით. ვისურვებ, რომ მშვიდობით დაბრუნებოდეთ თქვენს კერას და შესდგომოდეთ მშვიდობიან შრომას ენერგიით, რომ ერის აყვავება და კეთილდღეობა ყველგან გარს გერტყათ თქვენ. უამბეთ თქვენ შვილებს და შვილი-შვილებს ბულგარელი ჯარის-კაცის ვაჟკაცობა, მოამზადეთ ისინი, რათა მათ დაამთავრონ საქმე, რომელიც თქვენგან არის დაწყებული. დასასრულ მეფე ეთხოვება ჯარის კაცთ, თანამშრომელთ და უსურვებს მშვიდობიან ცხოვრებას.

ვენა. გერმანიის იმპერატორისა და რუმინიის მეფის ერთმანეთისათვის დეპეშების ურგზავნის გამო „ნეიე ფრეიე პრესე“ სწერს: ეს დეპეშები ყველა დემონსტრაციაზე უფრო მნიშვნელოვანია ბალკანეთის ომის ისტორიაში. იმ დროს როდესაც ავსტრია მთელ თავის პოლიტიკური მნიშვნელობის შეწირვას აპირებს, რომ ბალკანეთს ცოტა მაინც რამ ჩამოსწრას თავის სასარგებლოდ ბულგარეთს, გამოდის გერმანია და მთელი თავისი პოლიტიკური ძლიერებით მხარს უჭერს რუმინიაში მიღებულ ზავს. უკანასკნელ დროში ავსტრია და გერმანია სდგანან სრულიად საწინააღმდეგო ნიადაგზე. დეპეშებიდან სჩანს, რომ რუმინია გერმანიის შემწეობას ეძებს. ჩვენ ვკითხულობთ, სასარგებლოა თუ არა ავსტრიისათვის გერმანიის პოლიტიკის მიმართულება, რომლის მახვილი წვერი ავსტრიის აღმოსავლეთში ინტერესებს ეწინააღმდეგება. „მონტაგსბლატი“ ამბობს: „ელინთა მეფის გერმანიის ჯარის ფელდმარშლად დანიშვნა სულ სხვანაირ განმარტებას უწევს გერმანიის წინანდელ განცხადებებს. ჩვენ სახვანაირად გვქონდა წარმოდგენილი ნებილუნგების ერთგულობა“.

ბუქარესტი. ვენიზელოსმა საუზმე გაჰმართა სერბიისა და ჩერნოგორიის წარმომადგენელთა პატივსაცემად, რომელზედაც სადღეგრძელო დაღია და სურვილი გამოსთქვა, რომ სამ სახელმწიფოთ, სერბიას, საბერძნეთს და ჩერნოგორიას, კავშირი არ დარღვეულიყოს. ვუკოტიჩმა საპასუხოდ აღნიშნა საბერძნეთის საზღვაო ძალის მნიშვნელობა.

ცეტინიე. ზავის ჩამოგდებამ დიდი სიამოვნება გამოიწვია.

ბუქარესტი. საღამოს გამართული იყო სასახლეში ნადიმი 59 კაცისათვის წარმომადგენელთა პატივის საცემლად. დაესწრნენ სამშვიდობო კრების ყველა წევრები, რუმინიის სენატის თავმჯდომარე და სხ. მეფეს აქეთ-იქით პაშიჩი და ვენიზელოსი ისხდნენ. მეფემ სადღეგრძელო დალია და მიესალმა წარმომადგენელთ. ზავის ჩამოგდებამ, სთქვა მეფემ, ერთის მხრივ მოახთხოვა დიდი თავის უარყოფა და მძიმე მსხვერპლი, რომელიც აუცილებელი საჭიროება იყო მოსასპობად იმ ხალხის შეტაკებისა, რომელთაც ბედისაგან ნარგუნები აქვთ მშვიდობინად ცხოვრების აუცილებლობა. მსხვერპლთა სიდიადე დაიფარება იმის იმედით, რომ ზავი შეჰქმნის ურთიერთ ნდობას და კეთილ დღეობას ბალკანეთზე. თუ ჩვენი ქვეყნები შეიძლებენ იმუშავონ თვით მოწყობისათვის და ეკონომიურად წარმატებისათვის, რამოდენიმე წლის შემდეგ მოიმკიან ნაყოფს მათ მეცადინობისასა და სიბრძნისას. რუმინია მთელი თავისი ძალით შეეცდება შეჰქმნას ბალკანეთზე ისეთი პირობები, რომელნიც შეძლებას მოგვცემენ დავივიწყოთ მძიმე წარსული და მოვამზადოთ ნიადაგი ბედნიერ მომავლისათვის. როგორც ძველმა ჯარის კაცმა მეფემ შესაფერისად შეამკო მეომარ ჯართა ვაჟკაცობა. მეფეს განსაკუთრებით ჰსურს, კარგი განწყობილება იყოს რუმინიისა და ბალკანეთის სხვა სახელმწიფოთა შორის.

სოფია. პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ ზავის ხელშეკრულება ვერ მოსპობს ბალკანეთის აღელვებას, რადგანაც ბუქარესტში დაშვებული იქმნა უსამართლობა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

29 ივლისი.

უცხოეთი.

სტამბოლი. ბოსფორში დაიწვა საფრანგეთის საელჩოს სადგომი, რომელიც განთქმული იყო, როგორც საუკეთესო ხელოვნება აღმოსავლეთისა. სახლი ეკუთნოდა სახელგანთქმულ პოლიტიკურ მოღვაწეს ბერძენს იპროლანტის. საელჩოს საქმეების გადარჩენა მოასწრეს. ცეცხლის ჩაქრობაში მონაწილეობას იღებდნენ რუსის და სხვა სახელმწიფოთა მეზღვაურნი. იტალიის საელჩოს მდივანი სოლეტი, რომელიც ცეცხლის ჩაქრობაში მონაწილეობას იღებდა, მძიმედ დაშავდა.

შანჰაი. მთავრობის ჯარსა და მეამბოხეთ შეტაკება მოუვიდათ შანჰაისა და ვუზუნის შუა. მეამბოხენი წავიდნენ ვუზუნიდან. მოელიან ჩრდილოელ ჯარის იერიშს, რომელსაც მხარს დაუჭერენ მეზღვაურნიც. მეამბოხეთა სიმაგრეები ძალიან გაგრძელებულია, გემთა საზოგადოებებს შეატყობინეს, მოსალოდნელია იერიშო.

ტოკიო. პოლიცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს დაიცვას სუნიატსენისა და ხუანსიანის სიცოცხლე. მათი მოკვლისათვის, ხმებით, დიდი ჯილდო ყოფილა დანიშნული.

პარიზი. ეგდედ წოდებული „სევოსტოპოლის ზარი“ ყირიმის ომის დროს წამოღებული, რომელიც აქამდის პარიზის დვთის მშობელის ეკლესიაში ინახებოდა სადგურზე წაიღეს რუსეთში დასაბრუნებლად.

ხანკოუ. იოჩოუსა და ხუნანის გზაზე დაიწყო შეტაკება.

მილანი. გაფიცვა გრძელდება. ქალაქში სიწყნარეა. შრომის საყოველთაო კავშირის საბჭო წინააღმდეგია, გაფიცვა მილანიდან სხვა ქალაქებშიაც გადავიდეს. სტამბების მუშებმა გადასწყვიტეს ხვალიდან მუშაობას შეუდგნენ.

ლონდონი. დღისით ტრაფალგარის სკვერში მოხდა სუფრაჟისტკების დემონსტრაცია, დაესწრო 10.000 ქალი, შემდეგ, სილვია პანკჰერსტის ბელადობით უნდოდათ გასულიყვნენ დაუნინგ-სტრიტში, სადაც გარეშე საქმეთა სამინისტრო იმყოფება, მაგრამ შეჩერებული იქნენ ქვეითი და ცხენოსანი პოლიციით. შეიქნა ხელ და ხელი შეტაკება ქალებისა და პოლიციელებისა. პოლიციელები იძულებულნი იქმნენ კომბლები ეხმარათ. სილვია პანკჰერსტი და 14 სუფრაჟისტი ქალი დაატუსაღეს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. შეკითხვის პასუხის გაცემის დროს ასკვიტმა განაცხადა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა დანიშნოს გამოძიება საკითხისა, თუ რად გავრცელდა ვენერიულ ავადმყოფობათა ექიმობის საშუალებანი.

ელჩთა კრება შეიკრიბა 3 ს. და 30 წ.

ბარცელონა. გაფიცვა გათავდა. მუშებმა მიიღეს მთავრობის წინადადება: შუამავლობით საქმის გათავება.

ტოკიო. ძიკადომ განუცხადა სეიუკარის პარტიის წარმომადგენლებს, რომ სამხრეთ ჩინეთიდან გამოქცეულთ მთავრობა მფარველობას გაუწევსო.

ტოკიო. მაიბურუს სარდაფები აფეთქდა დიდი სიცხის გამო. მძიმედ დაშავდა ერთი.

პარიზი. მთავარ საბჭოების 1450 წევრთაგან არჩეულნი არიან: 107 კონსერვატორი, და ლიბერალურ მოქმედებათა პარტიის წევრნი, 142 პროგრესის.-რესპუბლიკანელი, 1049 მემარცხენე რესპუბლიკანელი, რადიკალები, რადიკალ-სოციალისტები, რესპუბლიკანელები და სოციალისტები და 60 შეერთებული სოციალისტები. მოიგეს: კონსერვატორ.-ლიბერალ. 14 ადგილი, რესპუბლიკ. პროგ. 26, მემარცხენეებმა 97, შეერთებულმა სოციალისტებმა 25. დაჰკარგეს: კონსერვატორ.-ლიბერ. 52, რესპუბლ.-პროგ. 47, მემარცხენეებმა 55, შეერთებულმა სოციალისტებმა 8. არ აურჩევიათ ტულუზში და როშფორში.

რუსეთი

მოსკოვი. დაიჭირეს გაზ. „რულ“-ის № 418 სტატიის „გაფიცვათა ტალღა“-ს დაბეჭდვის გამო, სამართალში მისცეს რედაქტორი 129 და 1034 მუხლების ძალით.

ჰელსინგფორსი. კოტკაში დაიწყო ცელულოიდის ქარხანა. ზარალი მილიონ მანეთზე მეტია.

ბალკოვო. სპასკის ნავთ-სადგურში ხალხის გადმოსვლის დროს ჩაინგრა გემის „გრაფინიას“ ბაქანი, რომელზედაც 800 კაცი იდგა. დაშავდა 15 კაცი. დაჭრილია მათ შორის 8 კაცი.

პეტერბურგი. უეცრად გარდაიცვალა მწერალი ავსეენკო.

ადესა. სადგურის ვესიოლი კუტის ორი ვერსის მოშორებით, 7 შეიარაღებული ბოროტგამზრახველი თავს დაესხა ეტლს, რომელშიაც 15 მგზავრი იჯდა, და წაართვეს 4.000 მან. ორმა მგზავრმა წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ბოროტგამზრახველებმა ორივენი დასჭრეს და მიიმალენ. დაჭრილები ადესაში მოიყვანეს.

კიევი. გული გაუსკდა და მოკვდა სახელმწიფო სათათბიროს წევრი კიევის გუბერნიიდან ნაციონალისტი პიხნო.

შემოწირულება

ბ. რედაქტორო! თქვენი გაზეთის საშუალებით სოფ. ქვემო-ნიქოზის (გორის მაზრა) მცხოვრებნი სალამს ვუგზავნით მგოსანს იროდიონ ევდოშვილს და ვუსურვებთ განკურნებას.

ამასთანავე ვთხოვთ რედაქციას ჩვენშივე შეგროვილი ფული მიაწოდოს იროდიონს და შემომწირველთა სია დაგვიბეჭდოს. თითო მანეთი: დეკ. ივ. კაპანაძემ, მღ. დ. კაპანაძემ, ნ. ფავლენიშვილისამ, ილ. ივ. ფავლენიშვილმა, ან. გ. დეკანოზიშვილისამ, ეს. გ. ლომიძემ და პ. დ. დიმიტრაშვილმა. ათ-ათი შაური: მღ. ზ. საძაგლიშვილმა, ს. ფავლენიშვილისამ, დ. ფავლენიშვილისამ, ქეთ. კაპანაძემ, ალ. შალუტაშვილმა, ვარო და ჩიტომ. თითო აბაზი: ეფ. ფავლენიშვილისამ და მ. წვიმეტიძემ. აქედან ფოსტის ხარჯს 29 კ. გამოვდიოვართ, სულ 10 მ. 90 კაპ.

პატივისცემით **სტუდ. ჩიტო კაპანაძე.**

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ჩვენს ავადმყოფ მგოსანს ირ. ევდოშვილს ოცი მანეთი, ჩემ მიერ ს. ბეინევში ქალთა შორის შეკრებილი, ვუსურვებთ პოეტს მალე სრულიად განკურნებას.

შემომწირველთა სია: ანიკო აბდუშელიშვილისამ 8 მან.; ორ-ორი მანეთი: ტასო აბდუშელიშვილის ასულმა, ფუცა აბდუშელიშვილის ასულმა; თითო მანეთი: ელენე აბდუშელიშვილისამ, მატრონა აბდუშელიშვილისამ, ანეტა აბდუშელიშვილის ასულმა, თამარ აბდუშელიშვილისამ, პაშა აბდუშელიშვილის ასულმა, კლავდიოზ ტყემალაძემ, დავით ჩიჩუამ; ათ-ათი შაური: ლიუბა აბდუშელიშვილის ასულმა, მარიამ აბდუშელიშვილის ასულმა.

პატივისცემით **ანიკო აბდუშელიშვილისა.**

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით ავადმყოფ პოეტის იროდიონ ევდოშვილის სასარგებლოდ შეკრებილ 24 მან. 40 კაპ. და გთხოვთ დანიშნულებისამებრ გადასცეთ.

შემომწირველთა სია: კირაკოზოვის და ოგანოვის ქუთაისის განყოფილება 3 მან. თითო მანეთი: მ. ორაგველიძე, მ. გოკიელოვი, სანდრო, გ. სულეიმანიშვილი, ა. ზენაიშვილი, ი. ნიკოლაშვილი, გ. მუმლაძე; ათ-ათი შაური: ი. კაპანაძე, ა. კილასონია, ბ. გაბუნია; ე. კვანტალიანი, ივანე, გ. ხუნდაძე, გ. ტუსკია, ა. თამაგარი, №№ მ. უკრაინცევი, ი. რიჟინაშვილი, ს. ბოკერია, X, ა. ქორდავა, მ. აკოფოვის ასული, გ. მეჩიტოვი, ს. შენგელია, დ. ელენტი, ლ. ბოკერია, ი. შავდია და ვ. იოსელიანი; ორ-ორი აბაზი: მ. ასათიანი, ექვს-ექვსი შაური: ა. შენგელია და ნ. ბოლქვაძე, ხუთ-ხუთი შაური: ს. გოგიბერიძე, გოგია, ს. გუგუჩია და ი. ყენია; თითო-აბაზი: გ. შამაჯანოვა, ბ. გუფარაძე, მ. კერმულარია, შ. გოგვაძე, ლ. ბურცხვანიძე, ვ. გაბადაძე, ა. ხინელიძე, დ. ფანცხავა და ლ. ჭუთელია; ორი შაური: ა. მოკიასი.

პატივისცემით **გ. მუმლაძე.**

ბ. რედაქტორო! გიგზავნით ქ. გორში შეგროვილს 10 მან. გადასაცემად მგოსან ირ. ევდოშვილისთვის, რომელიც ამ ჟამად ავად არის. შემომწირველთა სია: თითო მან. ნესტ. ქერეტაშვილმა, ვანო ჩაჩანიძემ, გიგო ქეჩხუაშვილმა, იაკ. ეგნატაშვილმა, დიმიტრი მახარაშვილმა, გოლა ამირაღოვმა, გიორგი ხანგულიძემ, ალექსი ხარატაშვილმა, ნიკო ხარატაშვილმა და დ. მაჭავარიანმა.

ბ. რედაქტორო! გიგზავნით ქვემო მოხსენებულ პირთა შორის შეგროვილ ფულს ირ. ევდოშვილის სასარგებლოდ. თითო მან. ი. შანიშვილისამ, ნიკო და ივანე კერვალიშვილმა, ვანო ლუხუტაშვილმა და ზოსიმე ნოდარიშვილმა; ათ-ათი შაური: ალ. ჩალაძემ, ალფეზა კერვალიშვილმა, ნერაფიონ კერვალიშვილმა, იორამ ენუქიძემ და ლავრ. ისაკაძემ; თითო აბაზი: ვანო ციერიკაძემ, მინა კერვალიშვილმა და სპირ. ტომარაძემ. სულ 7 მ. 10 კ.

იოანე კერვალიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჯუმბაძე

მატარებელთა მიმოსვლა
(ზაზაულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).
ტფილისიდან გადის.

ბაკოსა-ბაკეს: № 6, **ჩქარი** ბლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-სანაბრგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **სარეგ.** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 4 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 10 ენკენისთვამდე). № 7, **ჩქარი** ბლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** დამის 10 ს. 36 წ., № 107, **სარეგ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (და მაისიდან 14 ენკენისთვამდე). № 19, **სახ-გზ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ცხინვალი: № 65, **სააგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **სააგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებელები ივლისის მაისიდან 14 ენკენისთვამდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4, შუადღ. 12 ს. 51 წ.

უარისაკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისაკენ: № 24;23, **სანაბრგ.-სამგზ.** საღ. 6 ს. 8 წ. ადგილ და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაკოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **სანაბრ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოსტროვი-ნიჟნეი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 24 წ., № 3, **ჩქარი** ეკატერინოგრადი-ბოსკოვი-ყაზანი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 105, **სარეგ.** მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დაღმ. 4 ს. 12 წ.

ბათუმიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **ს.მგ.** ნუადღ. 2 ს. 29 წ. (ივლის მაისიდან 14 ენკენისთვამდე). № 8, **სამგ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 1, **საფ.** საღ. 9 ს. 15 წ., № 105, **სარეგ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: № 20, **სახ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ცხინვალი: № 66, **სააგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებელი ივლისის მაისიდან 14 ენკენისთვამდე კვირა-უქმე დღეობით. № 66 ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4, შუადღ. 12 ს. 51 წ.

უარისაკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისაკენ: № 24;23, **სანაბრ.-სამგზ.** საღ. 6 ს. 8 წ. ადგილ და მესამე კლას. ვაგონებით.

ქაქიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ფოიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.
უბნები
1—2 **გ. ბ. გედევანი** (სდგას ვერაზე, ალგის ქუჩა, 22. ტელეფ. 594).
3—4 **მ. ი. ბაგერდოვი** (ფეთხაინის ალმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ფ. მ. თამოეოსიანი** (ველიანინოკის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **ი. ა. ილელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 120).
8—9 **ე. ბ. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).
10, 11—12 **ი. ბ. ტერ-ნიკოგოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

სასანიტარო ექიმები
უბნები: 1—2 **ს. ფომინა-ახიბოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709)
9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **ვ. ა. ზარაქოვი** (მიხეილის პროსპ 174 ტელ. 327.)
სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და **სადაც-კი** ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა არღვევენ-ცუდს საბჭ�-სასმელს აკეთებენ და ჭყიდია, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თბილისის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ვლისაბედის ქუჩა 56 და მალაკინის მოედანზე.

ბაკოს ბაზარი
ბაკოს ბაზარ. № 6, **ჩქარი** ბლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-სანაბრგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **სარეგ.** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 4 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 10 ენკენისთვამდე). № 7, **ჩქარი** ბლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** დამის 10 ს. 36 წ., № 107, **სარეგ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (და მაისიდან 14 ენკენისთვამდე). № 19, **სახ-გზ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ცხინვალი: № 65, **სააგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **სააგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებელები ივლისის მაისიდან 14 ენკენისთვამდე კვირა-უქმე დღეობით. № 67 ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4, შუადღ. 12 ს. 51 წ.

უარისაკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისაკენ: № 24;23, **სანაბრ.-სამგზ.** საღ. 6 ს. 8 წ. ადგილ და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაკოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **სანაბრ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოსტროვი-ნიჟნეი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 24 წ., № 3, **ჩქარი** ეკატერინოგრადი-ბოსკოვი-ყაზანი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 105, **სარეგ.** მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დაღმ. 4 ს. 12 წ.

ბათუმიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **ს.მგ.** ნუადღ. 2 ს. 29 წ. (ივლის მაისიდან 14 ენკენისთვამდე). № 8, **სამგ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 1, **საფ.** საღ. 9 ს. 15 წ., № 105, **სარეგ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ბორჯომიდან: № 20, **სახ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ცხინვალი: № 66, **სააგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებელი ივლისის მაისიდან 14 ენკენისთვამდე კვირა-უქმე დღეობით. № 66 ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფიდან: **საფ.** № 4, შუადღ. 12 ს. 51 წ.

უარიდან: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანიდან: № 24;23, **სანაბრ.-სამგზ.** საღ. 6 ს. 8 წ. ადგილ და მესამე კლას. ვაგონებით.

ქ ი ლ ი ს
ა. ბ. ხოლოლაშვილი
ეარის იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

ა. ნ. ჩიასამიძე
ეარის კბილის და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ფოიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.
უბნები
1—2 **გ. ბ. გედევანი** (სდგას ვერაზე, ალგის ქუჩა, 22. ტელეფ. 594).
3—4 **მ. ი. ბაგერდოვი** (ფეთხაინის ალმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ფ. მ. თამოეოსიანი** (ველიანინოკის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **ი. ა. ილელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 120).
8—9 **ე. ბ. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).
10, 11—12 **ი. ბ. ტერ-ნიკოგოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

სასანიტარო ექიმები
უბნები: 1—2 **ს. ფომინა-ახიბოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709)
9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **ვ. ა. ზარაქოვი** (მიხეილის პროსპ 174 ტელ. 327.)
სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და **სადაც-კი** ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა არღვევენ-ცუდს საბჭველ-სასმელს აკეთებენ და ჭყიდია, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თბილისის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ვლისაბედის ქუჩა 56 და მალაკინის მოედანზე.

ხანკოუ. იოჩოუსა და ხუნანის გზაზე დაიწყო შეტაკება.

მილანი. გაფიცვა გრძელდება. ქალაქში სიწყნარეა. შრომის საყოველთაო კავშირის საბჭო წინააღმდეგია, გაფიცვა მილანიდან სხვა ქალაქებშიაც გადავიდეს. სტამბების მუშებმა გადასწყვიტეს ხვალიდან მუშაობას შეუდგნენ.

ლონდონი. დღისით ტრაფალგარის სკვერში მოხდა სუფრაჟისტკების დემონ